შირაქი

SHIRAKI

www. opentext. ge

გამოდის 1937 წლიდან

№47 (9.563)

21 დეკემბერი 2012 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

გაყიდული ქართული მიწა



საქართველოში ბოლო პერიოდში შეუქცევადი ხასიათი მიიღო მიწების შცხოლებზე გაყიდვის პროცესმა. რამდენიმე წლის წინ დედოფლისწყაროში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთები ებრაელმა ბიზნესმენებმა შეისყიდეს. ამჯერად კახეთში მიწას ინდოელებიც ეპატრონებიან.

დედოფლისწყაროში სოფლის მეურნეობის კუთხით მასალაზე მუშაობისას ერთ-ერთმა მეურნე კაცმა ასეთი პასუხი გამცა- ჩვენი სოფლის მეურნეობა ახლა უკვე ჩვენ კი არა, ინდოელებს უნდა მოკითხოთო, ძალიან გავოცდი, თუმცა საქმის არსში კიდევ უფრო ახლოს გაცნობის შემდეგ ამაში მე თავად დავრწმუნდი.

რამდენიმე დღის წინ სოფელ სამრეკლოს მცხოვრებმა თეიმურაზ ხატიაშვილმა იმის გამო, რომ მიწის დამუშავებისთვის ბანკის კრედიტებს ველარ ფარავდა, საკუთრებაში არსებული 20 ჰექტარი მიწა ინდოელებს მიჰყიდა. ხატიაშვილი პირველი მიწათმფლობელი როდია, რომელმაც მიწა სურვილის საწინააღმდეგოდ, მაგრამ მაინც სხვა ქვეყნის მოქალაქეებს მიჰყიდა. სამრეკლოში უკვე ორმოცდაათამდე ოჯახია, ვინც მიწა სწორედ უცხოელებზე გაყიდა. არადა, სოფელ სამრეკლოს ენამთის მიწები ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო და ნაყოფიერ მიწებადაა აღიარებული რაიონის მასშტაბით. არ ვიცი, ვისთვის რამდენად მტკივნეულია ეს საკითხი, მაგრამ ცხადზე ცხადია, რომ მდგომარეობა გაცილებით ცუდადაა, ვიდრე გვგონია, სამომავლო პროგნოზი კი, თუ კარგად გავაანალიზებთ ყოველივეს, გაცილებით უარესი! - თავის დროზე, როდესაც ჩვენს რაიონში აფრიკელი ბურების გამოჩენაზე და მათ მიერ მიწების შესაძლო შესყიდვაზე მასალა მოვამზადე, მახსოვს ყველაზე დიდი საყვედურები ხელმძღვანელობიდან მაშინ მივიღე, ჩვენ უცხოელებისთვის ერთი გოჯი მიწის დათმობას არ ვაპირებთო და რა საჭირო იყო ამხელა სკანდალიო, თუმცა, ამ ამბიდან სულ რაღაც წელიწადნახევარში ფაქტი სახეზე გვაქვს, დღეს უკვე აღარავისთვისაა უცხო, რომ მთელი ალაზნისპირა ტერიტორიები და სოფელ სამრეკლოს საუკეთესო მიწები ინდოელების ხელშია. მოსახლეობას რომ ჰკითხოთ, ამ პროცესებში დამნაშავე ჩვენი წინამორბედი ხელისუფლებაა -„აი, სადამდე მივედით, რომელ ქვეყანაშიც გინდა ჩახვიდე, ჯერ თუ იმათი ტრადიციები არ შეისწავლე და ენას კარგად არ დაეუფლე, ქუჩაში ნებართვის გარეშე ფოტოსაც კი თამამად არავინ გადაგაღებინებს, მოქალაქეობაზე ხომ აღარ ვამბობთ, ჩვენმა მთავრობამ კი ყველას ფართოდ გაუღო კარი და უფრო მეტიც, იმის უფლებაც კი მისცეს, რომ ჩვენს მიწაზე ნერგები გააშენონ. ქართველმა რომ სადმე რამე დარგოს, იქნება დააჯარიმონ კიდეც, უცხოელებს კი საქართველოში ყველაფრის უფლება აქვთ. აკი, მიწებსაც ეგენი უფრო ადვილად ყიდულობენ, ვიდრე ჩვენ, მათ არანაირი ბარიერი არ ექმნებათ ამისთვის, ჩვენ კი, პირიქით, გვაწამებენ.“-ამბობენ დედოფლისწყაროელები.

ვინ არიან სინამდვილეში ინდოელები? - ინდოეთი სამხრეთ აზიაში მდებარეობს. სოციალურ ქსელში ინდოელებზე ინფორმაციის მოპოვებისას, აღმოაჩენთ საიტს- MY INDIA, სადაც ფართოდაა წარმოდგენილი ინდოელი ხალხის კულტურა, პროდუქტი და მომსახურება, ფილმები და ყველა სიახლე. საიტის ინფორმაციით თბილისში უხვადაა ინდური კაფეები, რესტორნები და თქვენ წარმოიდგინეთ ინდური საცეკვაო კლუბები, ასევე გახსნილია საქართველოს საელჩო ინდოეთში და რამდენჯერმე გვიწვევდნენ ინდური ნაწარმის გამოფენა გაყიდვაზე თბილისში.მოკლედ ინდოელებს საქართველოში ყველანაირი ხელშეწყობა აქვთ იმისთვის, რომ თავი კომფორტულად იგრძნონ.

აი, რას ამბობს ჩვენთან საუბარში წნორის ერთ-ერთი მაცხოვრებელი გენადი ზურაბაშვილი-„წნორში უკვე 2000 ინდოელი ცხოვრობს, მთელი ალაზნისპირა მიწები ხელში ჩაიგდეს და ცდილობენ, არასასოფლო დანიშნულების პირობებში გადაიყვანონ, მათ თვითმიზნად აქვთ დასახული, რომ იქ სოფლები გააშენონ და მაგიტომ, ასე უთქვამთ, მალე ჩვენ მილიონი ოჯახი ვიქნებით აქაო. უბედური საქართველო და ქართველები, რასაც ჩვენი მამა-პაპა სისხლის და სიცოცხლის ფასად იცავდა, ჩვენ ერთ წელიწადში გავყიდეთ და გავანიავეთ“.

ყველაზე მძიმედ წარმოსადგენი კი ის გახლავთ, რომ მათ მიერ ნაყიდ მიწებზე ისევ ქართველები მუშაობენ, ოღონდ ამჯერად მუშებად. აი, რას ამბობს სამრეკლოელი თეიმურაზ ხატიაშვილი,-„ თავის დროზე ეს მიწა, ერთი ჰექტარი 20 ლარად შევიძინე, მაშინ 20 ლარი ადვილი მოსაპოვებელი არ გახლდათ, გაჭირვება იყო და ერთ ჰექტარ მიწაში 20 ლარი კარგი თანხა იყო. მიწა კადასტრირებული იყო და მასში გადასახადს ყოველწლიურად 24 ლარს ვიხდიდი, ამას პარალელურად მოსდევდა ათასნაირი ხელშეკრულებების გაფორმება, რაც გლეხი კაცისთვის ასევე ფულის მახე იყო. მიწა ხომ ათასჯერ შემასყიდეს. ბოლოს რომ ვეღარაფრით გამოგვწოვეს სისხლი ფერმერებს, მიწის ოცმაგი ოდენობით შესყიდვა მოიგონეს, კიდევ კარგი, ეგ კანონი დროებით შეაჩერეს. მოკლედ, გაგვანადგურეს ფერმერები, მიწასთან გაგვასწორეს, გვანერვიულეს, ესეც არ იკმარეს ჩემი მიწა, რომელშიც წელიწადში 24 ლარს ვიხდიდი, უცებ მასზე გადასახადი ჰექტარზე 87 ლარი დამაწერეს. ველარ შევწვდი ამდენი თანხების გადახდას, არანაირი შეღავათი არ მომცა სახელმწიფომ, ისედაც კრედიტი მქონდა აღებული წნორის ბანკიდან, სახლიდან რაღაცეები გამქონდა, ვყიდიდი და

(გაგრძელება გვ.6)

წელს მოსახლეობა შეშის ნაცვლად ფულს მიიღებს

გვ.3

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“

2013 წლისთვის გაზეთ „შირაქის“ პერიოდულობა კვლავ ყოველკვირეული იქნება, რვაგვერდიანი და ფერადი. გამოწერის ღირებულება მთელი წლით 15 ლარი ეღირება, 6 თვით - 7,50 ლარი.

„შირაქი“ ერთგულ მკითხველს სიურპრიზს სთავაზობს - ვისაც ოთხი და მეტი წლის განმავლობაში ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება გაზეთთან, წელიწადში ერთხელ 5 ლარის ღირებულების განცხადების უფასოდ გამოქვეყნების საშუალება მიეცემა.

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“ – შეიტყვეთ ყველაფერი დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „შირაქი“ არ ღალატობს ტრადიციას და კვლავაც გთავაზობთ ფერად **საახალწლო კალენდარს.** თუ გსურთ, თქვენი ბავშვის ფოტო განთავსდეს 2013 წლის ფერად კალენდარში, გთხოვთ წარმოადგინეთ ის 27 დეკემბრის ჩათვლით რედაქციაში.

შეგახსენებთ, რომ კალენდარში ფოტოს განთავსება ფასიანია. 1 ფოტოსურათი 15 ლარი ეღირება. მაგრამ, თუ, ერთ ფოტოში ორი, ან მეტი ბავშვი იქნება - 20 ლარი.

იჩქარეთ, რაოდენობა შეზღუდულია!!!

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი

მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge

C M Y K

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი

დასახელება	კოდი	2011 წლის ფაქტი	2012 წლის გეგმა სულ	2013 წლის გეგმა სულ
შემოსულობები		**6 977,7**	**6 373,2**	**3 660,5**
შემოსავლები	**1**	**5 800,2**	**5 066,8**	**3 460,5**
არაფინანსური აქტივების კლება	**31**	**1 177,5**	**1 306,4**	**200,0**
შემოსავლები	**1**	**5 800,2**	**5 066,8**	**3 460,5**
გადასახადები	11	3 089,1	1 193,0	1 410,0
ქონების გადასახადი	113	3 089,1	1 193,0	1 410,0
საკრედიტო სანარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113111	303,7	107,5	95,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	3,1	2,5	6,0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	1131131	3,1	2,5	6,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113114	2 669,7	1 068,0	1 290,5
ფიზიკური პირებიდან	1131141	2 507,5	1 038,0	1 250,5
იურიდიული პირებიდან	1131142	162,2	30,0	40,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113115	111,8	15,0	18,5
ფიზიკური პირებიდან	1131151	21,5	10,0	12,0
იურიდიული პირებიდან	1131152	90,3	5,0	6,5
სხვა გადასახადები ქონებაზე	1136	0,8	0,0	0,0
გრანტები	**13**	**2 099,3**	**3 355,2**	**1 450,5**
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	138	2 099,3	3 355,2	1 450,5
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	**1311**	**1 213,5**	**2 377,4**	**1 450,5**
გათანაბრებითი ტრანსფერი		1 078,5	1 917,4	1 285,5
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად		135,0	160,0	165,0
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად		0,0	300,0	0,0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	**1312**	**885,8**	**977,8**	**0,0**
სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი		**490,0**	**490,0**	**0,0**
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის პირველადი განაწილება		490,0	490,0	0,0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		**355,8**	**471,8**	**0,0**
მთავრობის სარეზერვო ფონდი		**40,0**	**16,0**	**0,0**
სხვა შემოსავლები	14	611,8	518,6	600,0
შემოსავლები საკუთრებიდან	141	505,9	452,4	513,6
პროცენტები	**1411**	50,0	101,6	100,0
რენტა	**1415**	**455,9**	**350,8**	**413,6**
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	455,1	350,8	413,6
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვ) გადაცემიდან	14154	0,8	0,0	0,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	37,5	36,2	36,4
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	**1422**	**37,5**	**36,2**	**36,4**
სანებართვო მოსაკრებელი	14223	4,9	1,0	1,0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	14 2212	1,2	0,2	0,4
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	14 2214	31,4	35,0	35,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	68,4	30,0	50,0
არაფინანსური აქტივების კლება	**31**	**1 177,5**	**1 306,4**	**200,0**
ძირითადი აქტივები	311	0,0	891,3	0,0
არაწარმოებული აქტივები	314	1 177,5	415,1	200,0
მიწა	**3141**	1 177,5	415,1	200,0

ორგ. კოდი	დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის გეგმა სულ	2013 წლის გეგმა სულ
	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	4 438,9	9 775,3	4 110,0
	მიმდინარე რიცხვობა	159,0	170,0	170,0
	ხარჯები	2 959,2	4 681,6	4 087,0
	შრომის ანაზღაურება	885,8	1 381,1	1 566,2
	საქონელი და მომსახურება	764,3	1 362,2	1 118,0
	სუბსიდიები	1 090,2	1 451,3	1 183,8
	გრანტები	0,0	230,0	0,0
	სოციალური უზრუნველყოფა	218,9	242,0	204,0
	სხვა ხარჯები	0,0	15,0	15,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1 479,7	5 093,7	23,0
	ძირითადი აქტივები	1 479,7	5 093,7	23,0
01 00	**წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება**	1 087,8	2 037,5	1 724,1
	საქონელი და მომსახურება	371,1	725,7	549,9
	გრანტები	0,0	230,0	0,0
	ძირითადი აქტივები	45,9	56,2	18,0
01 01	**მუნიციპალიტეტის საკრებულო**	272,0	360,2	410,9
	საქონელი და მომსახურება	84,7	122,4	112,9
	ძირითადი აქტივები	21,3	9,8	3,0
01 02	**მუნიციპალიტეტის გამგეობა**	757,3	1 187,2	1 253,2
	საქონელი და მომსახურება	227,9	343,2	377,0
	ძირითადი აქტივები	24,6	46,4	15,0
01 03	**სარეზერვო ფონდი**	20,6	55,0	50,0
	საქონელი და მომსახურება	20,6	55,0	50,0
01 04	**შესყიდვებთან (ტენდერი, აუქციონი და ა.შ.) დაკავშირებული ხარჯები**	4,1	5,6	5,0
	საქონელი და მომსახურება	4,1	5,6	5,0
01 05	**კახეთის რეგიონის განვითარების საგენტო**	15,0	180,0	0,0
	საქონელი და მომსახურება	15,0	180,0	0,0
01 06	**მაჟორიტარი დეპუტატის მომსახურების ხარჯი**	15,0	15,0	0,0
	საქონელი და მომსახურება	15,0	15,0	0,0
01 07	**საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი**	0,0	230,0	0,0
	გრანტები	0,0	230,0	0,0
01 08	**პერსონალი**	3,8	4,5	5,0
	საქონელი და მომსახურება	3,8	4,5	5,0
02 00	**თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება**	578,8	864,2	524,1
	საქონელი და მომსახურება	92,3	137,2	99,1
	სხვა ხარჯები	0,0	15,0	15,0
	ძირითადი აქტივები	271,5	356,5	0,0
02 01	**საგანგებო სიტუაციების მართვა**	320,1	743,1	420,0
	საქონელი და მომსახურება	47,4	89,8	70,0
	სხვა ხარჯები	0,0	15,0	15,0
	ძირითადი აქტივები	114,0	355,3	0,0
02 02	**საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის ხელშეწყობა**	176,6	20,0	0,0
	საქონელი და მომსახურება	20,0	20,0	0,0
	ძირითადი აქტივები	156,6	0,0	0,0
02 03	**ქვეყნის, თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა**	82,1	101,1	104,1
	საქონელი და მომსახურება	24,9	27,4	29,1
	ძირითადი აქტივები	0,9	1,2	0,0
03 00	**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**	1 463,2	4 551,5	465,0
	საქონელი და მომსახურება	300,9	494,4	465,0
	ძირითადი აქტივები	1 162,3	4 057,1	0,0
03 01	**საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**	502,5	1 823,8	0,0
	საქონელი და მომსახურება	0,0	36,5	0,0
	ძირითადი აქტივები	502,5	1 787,3	0,0
03 02	**დასუფთავების ღონისძიებები**	201,1	503,0	350,0
	საქონელი და მომსახურება	201,1	315,0	350,0
	ძირითადი აქტივები	0,0	188,0	0,0
03 03	**საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები**	95,1	243,6	0,0
	ძირითადი აქტივები	95,1	243,6	0,0
03 04	**მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების და ფასადების რეაბილიტაცია**	23,4	469,8	0,0
	ძირითადი აქტივები	23,4	469,8	0,0
03 05	**წყალსადენი სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**	403,1	482,5	0,0
	ძირითადი აქტივები	403,1	482,5	0,0
03 06	**გარე განათების სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**	123,0	227,8	110,0
	საქონელი და მომსახურება	97,0	105,0	110,0
	ძირითადი აქტივები	26,0	122,8	0,0
03 07	**სააქციო საზოგადოებების, სატრანსპორტო საშუალებების გაფორმების და საკადასტრო რუკების**	1,8	6,0	5,0
	საქონელი და მომსახურება	1,8	6,0	5,0
03 08	**მემორიალური დაფა**	1,0	9,9	0,0
	საქონელი და მომსახურება	1,0	9,9	0,0
03 09	**კეთილმოწყობის ღონისძიებები**	101,2	600,7	0,0
	ძირითადი აქტივები	101,2	600,7	0,0
03 10	**სპეცტექნიკის შეძენა**	11,0	162,4	0,0
	ძირითადი აქტივები	11,0	162,4	0,0
03 05	**საკონტროლო აპარატურის შეძენა (ელექტრომრიცხველები)**	0,0	22,0	0,0
	ხარჯები	0,0	22,0	0,0
	საქონელი და მომსახურება	0,0	22,0	0,0
04 00	**განათლება**	373,0	458,5	400,0
	ხარჯები	373,0	452,5	400,0
	სუბსიდიები	373,0	452,5	400,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	6,0	0,0
	ძირითადი აქტივები	0,0	6,0	0,0
04 01	**სკოლამდელი განათლების დაფინანსება**	373,0	458,5	400,0
	სუბსიდიები	373,0	452,5	400,0
	ძირითადი აქტივები	0,0	6,0	0,0
05 00	**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**	500,2	1 379,6	550,8
	საქონელი და მომსახურება	0,0	4,9	4,0
	სუბსიდიები	500,2	756,8	541,8
	ძირითადი აქტივები	0,0	617,9	5,0
05 01	**სპორტული ღონისძიებების დაფინანსება**	102,0	202,0	102,0
	სუბსიდიები	102,0	202,0	102,0
05 02	**სპორტული დარბაზების/მოედნების შეძენა/მშენებლობა**	0,0	617,9	5,0
	ძირითადი აქტივები	0,0	617,9	5,0
05 03	**ადმინისტრაციული ხარჯები**	62,0	62,0	62,0
	სუბსიდიები	62,0	62,0	62,0
05 04	**კულტურის სახლები**	116,0	204,0	150,0
	სუბსიდიები	116,0	204,0	150,0
05 05	**ბიბლიოთეკები**	48,5	48,0	48,0
	სუბსიდიები	48,5	48,0	48,0
05 06	**მუზეუმები**	29,0	29,0	29,0
	სუბსიდიები	29,0	29,0	29,0
05 07	**მეგლთა დაცვის ხარჯები**	6,8	6,8	6,8
	სუბსიდიები	6,8	6,8	6,8
05 08	**კულტურული ღონისძიებები**	26,0	46,0	10,0
	სუბსიდიები	26,0	46,0	10,0
05 09	**ხელოვნების სკოლა**	51,2	63,0	63,0
	სუბსიდიები	51,2	63,0	63,0
05 10	**რელიგიური საქმიანობის დაფინანსება**	30,0	50,0	25,0
	სუბსიდიები	30,0	50,0	25,0
05 11	**პრესის მომსახურების ხარჯები**	28,7	50,9	50,0
	საქონელი და მომსახურება	0,0	4,9	4,0
	სუბსიდიები	28,7	46,0	46,0
06 00	**მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	435,9	484,0	446,0
	სუბსიდიები	217,0	242,0	242,0
	სოციალური უზრუნველყოფა	218,9	242,0	204,0
06 01	**უსაფრთხოების პროგრამები**	72,0	72,0	72,0
	სუბსიდიები	72,0	72,0	72,0
06 02	**საათოების სახლი**	145,0	170,0	170,0
	სუბსიდიები	145,0	170,0	170,0
	ხარჯები	3,2	4,0	4,0
	სოციალური უზრუნველყოფა	3,2	4,0	4,0
06 04	**სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება**	215,7	238,0	200,0
	სოციალური უზრუნველყოფა	215,7	238,0	200,0

გთავაზობთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტს. მოსახლეობას ვთხოვთ, ყურადრებით გაეცნოს მას და თავისი შენიშვნები და მოსაზრებები წარმოადგინოს. შეგახსენებთ, რომ ბიუჯეტის საჯარო განხილვა მოეწყობა 24 დეკემბერს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, I სართულზე მდებარე საკონფერენციო დარბაზში, დღის 1 საათზე.

პირველი ივლისიდან სოციალური დახმარება 30 ლარის ნაცვლად 60 ლარი გახდება

საქართველოს მთავრობა 2013 წლის პირველი ივლისიდან გაჭირვებული მოსახლეობის სოციალური დახმარებების გაზრდას გეგმავს. ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის განცხადებით, 57 ათას ქულამდე მყოფი ოჯახის პირველი წევრი 30 ლარის ნაცვლად 60 ლარს მიიღებს, ხოლო ყოველი მომდევნო წევრი 24 ლარის ნაცვლად - 48 ლარს.

სოციალური დახმარებების გაორმაგების დამატებითი ხარჯი შეადგენს 70.0 მლნ ლარზე მეტს.

ნოდარ ხადურის ინფორმაციით, 2013 წლის ბიუჯეტში, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლებისთვის გათვალისწინებულია 86.0 მლნ. ლარი, სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციისა და მათი ექსპლუატაციისათვის 64.4 მლნ. ლარი, რთველის ხელშეწყობის ღონისძიებებისათვის 25,0 მლნ. ლარი.

იზრდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვაუჩერული დაფინანსების მოცულობაც და შეადგენს 380.0 მლნ. ლარს. ფინანსთა მინისტრის განმარტებით, აღნიშნული თანხის ფარგლებში დაგეგმილია ყველა მასწავლებლის და სკოლების ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასების ზრდა. საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებულია 60,7 მლნ. ლარი.

წელს მოსახლეობა შეშის ნაცვლად ფულს მიიღებს

უკვე მერამდენე წელია, ზამთრის სეზონზე საქართველოს რეგიონებში მცხოვრები სოცალურად დაუცველი ოჯახების შეშით უზრუნველყოფის პროგრამები ხორციელდება. ბოლო ხანს ცალკეული კატეგორიები შეშით დედოფლისწყაროშიც მარაგდებოდნენ.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, 2011 წელს ამ პროგრამით დედოფლისწყაროსა და მის სოფლებში 400-ზე მეტი ოჯახის შეშით უზრუნველყოფა მოხდა. პროგრამის ნაწილი საპრეზიდენტო ფონდიდან დაფინანსდა, ნაწილიც დედოფლისწყაროს ბიუჯეტიდან.

ამ სეზონზე მოსახლეობის შეშით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი დახმარების გაცემას, სავარაუდოდ, მომავალი წლის იანვრის პირველივე რიცხვებიდან დაიწყებს. გასული წლებისგან განსხვავებით, ამჯერად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ახალმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა მოსახლეობისთვის სათბობი შეშით მომარაგების წესში გარკვეული ცვლილებები შეიტანოს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ახლადდანიშნული გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი ამ საკითხზე გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ შეშის გაცემისას უპრიანი იქნება, თუ ოჯახი შესაბამის თანხას მიიღებს და ის თავად გადაწყვეტს, სათბობად შეშას შეიძენს, ელექტროენერგიას გამოიყენებს, თუ სხვა, გაცილებით ეკონომიურ, გზებს გამონახავს.

„ყველა ოჯახი ინდივიდუალურია და ყველას თავისებური გათვლები აქვს. ზოგს შეშა უკვე მომარაგებული აქვს, ზოგი ელექტროენერგიით გათბობას ანიჭებს უპირატესობას. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, რომ უმჯობესი იქნება, თუ შეშის შეძენისა და მისი განაწილების ნაცვლად პირდაპირ თანხას გავცემთ. ჩემი მიზანია, ოჯახმა თავისი პირობების გათვალისწინებით, საკუთარი ინტერესების მიხედვით გამოიყენოს ეს თანხა“ - აღნიშნა დედოფლისწყაროს გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა.

გამგებელი ამბობს, რომ ამ საკითხს საკრებულოს დეპუტატებიც განიხილავენ. გამგეობიდან საკითხი განსახილველად სწორედ საკრებულოში შევა, რის შემდეგაც მუნიციპალიტეტის საკრებულო შესაბამის დადგენილებას გამოიტანს.

გავრცელებული ინფორმაციით პრეზიდენტმა რეგიონებში მოსახლეობის შეშით უზრუნველყოფისთვის თანხის გამოყოფაზე უარი თქვა. გასულ წლებში რაიონებში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სათბობი შეშით უზრუნველყოფისთვის პრეზიდენტის ფონდიდან 40 000 ლარი ირიცხებოდა, თანხას რაიონული ბიუჯეტებიდან კიდევ 20 000 ლარი ემატებოდა. დახმარება რამდენიმე კატეგორიაში მრავალშვილიან, მარჩენალდაკარგულ ოჯახებსა და მარტოხელა დედებზე გაიცემოდა.

იმის მიუხედავად, საიდან დაფინანსდება პროგრამა, ამ დახმარების მიღების მსურველთა რიცხვი დედოფლისწყაროში დიდია. ყოველწლიურად არც დახმარებით მოსარგებლეთა რიცხვი იყო მცირე, თუმცა უკმაყოფილოებიც რჩებოდნენ.

მარტოხელა მოხუცების დიდი ნაწილი, რომლებიც ძირითადად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში ცხოვრობენ და დაუძლურებულნი არიან, გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას აცხადებენ, რომ შეშის მომარაგებას ვერც საკუთარი ძალებით ახერხებენ და მის შესაძენად არც პენსია ჰყოფნით. ახალი არავისთვისაა, რომ პენსია მათთვის ერთადერთ შემოსავლად რჩება. მისი ოდენობა კი, მუდმივი დაპირებების მიუხედავად, არც ისეთი გახლავთ, რომ მარტოხელა ასაკოვანმა ადამიანებმა კვების პრობლემაც მოაგვაროს, მედიკამენტებიც შეიძინოს და სუსხიან სამთარშიც სიცივით არ გაიყინოს.

სოფლად მცხოვრები მარტოხელა მოხუცებულები კიდევ ერთ ფაქტზე ამახვილებენ ყურადღებას. ცნობილია, რომ ქალაქ დედოფლისწყაროს და მისი მოსაზღვრე სოფლებში მცხოვრები სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა ნაწილი ყოველდღიურად უფასო სასადილოში სადილობდა, ნაწილი კი სათნოების სახლში. გასულ წელს ისინი გაერთიანდნენ და, ასე თუ ისე, დედოფლისწყაროსა და მის შემოგარენში მიუსაფართა კვების საკითხი ნაწილობრივ მაინც გადაჭრილია. ამ ფონზე კი სხვა სოფლების მარტოხელა მოხუცები პირდაპირ მიანიშნებენ, რომ კვების პრობლემა რეალურად აქვთ. ისინი, ვინც სათნოების სახლიდან მოშორებით ცხოვრობენ და ჯანმრთელობის თუ გადაადგილების პრობლემა აქვთ, უფასო სადილით სარგებლობა და სათნოების სახლში მისვლაც პრობლემად ქცევიათ. თუმცა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისა და სათნოების სახლის ადმინისტრაციის მხრიდან თანხმობის მიღების შემთხვევაშიც კი, სხვა სოფლებში მცხოვრები მოხუცები ამ სიკეთით ვერ სარგებლობენ. არადა, მათთვის კვება ერთ-ერთ მთავარ პრობლემად იქცა.

მედიკო კოხტაშვილი 83 წლისაა, ის სოფელ არბოშიკში მოძველებულ ბინაში მერამდენე წელია მარტო ცხოვრობს. ამბობს, რომ აღარც ძალა შესწევს, რომ ხმელი ხის ტოტები მაინც მოაგროვოს, ან შეშით უზრუნველყოფაზე იზრუნოს. მისივე თქმით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეშით დახმარების გაწევაზე იმედი ყოველ ზამთარს აქვს, ასეა ახლაც. ანალოგიურ მდგომარეობაში არიან დანარჩენი, სხვადასხვა კატეგორიის მაცხოვრებლებიც.

შეგახსენებთ, რომ 2010 წელს შეშის ნაცვლად მოსახლეობაზე თანხის გაცემა დედოფლისწყაროს წინა ხელისუფლებამაც გადაწყვიტა. თუმცა, მოგვიანებით, ლევან ბაღაშვილი განმარტავდა, რომ ამ მეთოდმა არ გაამართლა, სასურველი შედეგი ვერ მოიტანა და გადაწყდა, რომ მომდევნო წლებში კვლავაც შეშა გაეცათ. როგორც ჩანს ამ ეტაპზე, ახალი ხელმძღვანელობა ამ მოსაზრებას არ იზიარებს. სავარაუდოდ დახმარება 100 ლარით განისაზღვრება.

ილია მარტყოფლიშვილი

სკოლამდელი აღზრდის ცენტრს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

მაია ხუმარაშვილი დაიბადა 1968 წლის 14 აპრილს, 1985 წელს დაამთავრა დედოფლისწყაროს პირველი საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა საბავშვო ბაღში რუსული ენის პედაგოგად. 2010 წლიდან მაია ხუმარაშვილი დედოფლისწყაროს სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის სპეციალისტად მუშაობს, 2012 წლის 11 დეკემბრიდან კი ამავე ორგანიზაციის სააღმზრდელო ცენტრის დირექტორია. ჰყავს მეუღლე, მამა პეტრე(ხუმარაშვილი) და ერთი ქალიშვილი- ანა.

- სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ირგვლივ ბოლო დროს საკმაოდ დიდი ხმაური იყო ატეხილი, როგორია თქვენი სამომავლო გეგმები და დაკმაყოფილდება თუ არა მშობლების მიერ წაყენებული მოთხოვნები ბაღებში კვების რაციონის გამრავალფეროვნების კუთხით?!

- სულ რამდენიმე დღეა, რაც ახალ სამსახურში სამუშაოს შევუდექი და ჯერჯერობით გაცნობის პროცესში ვარ, ვეცნობი სამუშაოს სტრუქტურას და სამომავლო გეგმებზე ნაკლებად შემიძლია საუბარი, თუმცა, ცალსახად შემიძლია ვთქვა, რომ გავაკეთებ შესაძლებლობების მაქსიმუმს, რათა დავიცვა თითოეული აღსაზრდელის, პედაგოგის და მშობლის ინტერესები და ყველა ის სამართლიანი მოთხოვნა, რაც მშობლებს გააჩნდათ, დავაკმაყოფილო. ვიქნები თითოეული აღსაზრდელის დამცველი და ვიზრუნებ მათი პირობების გაუმჯობესებაზე. დანარჩენს სამუშაო პროცესი გვიჩვენებს.

მასალის გამოქვეყნებამდე ბაღებში კიდევ ერთი პრობლემ წარმოიშვა. ამ დღეებში მშობლებისთვის ცნობილი გახდა, რომ ბაღებში საახალწლო ამანათს ბავშვები სააღმზრდელო ცენტრისგან ვეღარ მიიღებენ და სასაჩუქრე პაკეტის გამზადება თავად მშობლებს მოუწევთ, რის გამოც მშობელთა კომიტეტის წარმომადგენლები იძულებულნი გახდნენ მშობლებს 5-5 ლარი მოაკრეფინონ და ბავშვებს თოვლის პაპის საჩუქრის მოლოდინი არ გაუცრუონ. აღნიშნულმა ამბავმა მშობელთა დიდი ნაწილის გულისწყრომა გამოიწვია. მშობელთა უმრავლესობას არ აქვს ამის საშუალება და იძულებულნი არიან, ბავშვი საახალწლო ზეიმზე არ მოიყვანონ, რათა მათ შვილებს გული არ დასწყდეთ, -„სამი შვილის დედა ვარ, ჩემი ხელფასი 160 ლარს შეადგენს და გადასახადის გადახდაც მიჭირს, სასაჩუქრე პაკეტის არ არსებობა ძალიან მეწყინა, ნამდვილად გამიჭირდება გადახდა, არადა, უკვე სამი წელია, ბავშვები საჩუქრებს უსასყიდლოდ იღებდნენ და კმაყოფილნიც ვიყავით!“-აცხადებს ერთ-ერთი მშობელი.

მართალია, მშობლები ამ ინციდენტის გამო უკმაყოფილოები არიან, მაგრამ რამდენადაც ჩვენ გავარკვიეთ, სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის ბიუჯეტი იმდენად გაპარტახებული და ნულზე დასმული აღმოჩნდა, რომ სასაჩუქრე პაკეტისთვის განკუთვნილი თანხების მოძიება ყოვლად შეუძლებელი აღმოჩნდა. ასე რომ, მშობლებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რაში მდგომარეობს რეალობა. ამ შემთხვევაში ახალი ხელმძღვანელი უძლურია.

ლალი მეხრიშვილი

დედოფლისწყაროში კულტურული ცხოვრება საინტერესო გახდება

ნინო ბახუტაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის დირექტორი.

მინი დოსიე: დაიბადა 1965 წლის 11 მაისს, 1982 წელს დაამთავრა წითელწყაროს №1 საშუალო სკოლა, 1991 წელს-სამხატვრო აკადემიის ხელოვნებათმცოდნეობისა და არქიტექტურის ფაკულტეტი, ექსპერტია ტექსტილის დარგში, მას სასულიერო აკადემიის ხელოვნების სრული კურსი აქვს გავლილი. 1991-95 წლებში მუშაობდა საქართველოს საეკლესიო ხუროთმოძღვრების ცენტრში არქიტექტორად. ის სამების ტაძრის პროექტის თანამონაწილეა და პატრიარქის სიგელის მფლობელიც, 2002-2005 წლებში მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ასწავლიდა გობელენისა და ფარდაგების ქსოვას. 2005 წლიდან სახელოსნო „ფესვებს“ აარსებს და მისი ხელმძღვანელია, 2007-2012 წწ. ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის ხელოვნების პედაგოგად მუშაობდა.

ნინო ბახუტაშვილი ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ დედოფლისწყაროში კულტურის განვითარების სტრატეგიაზე უკვე მუშაობს. მას მიაჩნია, რომ უნდა აღდგეს ის დარგები, რომლებიც ჩვენი რაიონისთვის იყო ორგანული და ტრადიციული, კერძოდ, ის გეგმავს თოჯინების თეატრის აღდგენას და ფოლკლორის კიდევ უფრო აღორძინებას. „სოფელს თავისი ფუნქცია უნდა დავუბრუნოთ. აქცენტი იქნება გამახვილებული ფოლკლორზე და რეწვაზე. სერიოზული ყურადღება დასჭირდება ბიბლიოთეკებს. რაიონული ბიბლიოთეკისთვის, რომელიც რამდენიმე თვის წინ ღია ცის ქვეშ დარჩა, ჯერ კიდევ ვეძებთ შესაფერის შენობას“-განაცხადა ნინო ბახუტაშვილმა. კულტურისა და სპორტის ცენტრის კრეატიული დირექტორი იმედოვნებს, რომ დედოფლისწყაროში კულტურული ცხოვრება საინტერესო გახდება და ჩვენი რაიონი ახალგაზრდობისთვის მეტად მომხიბლავი გახდება.

როცა კონკურენტი შენი დამფინანსებელია

ამ წერილის დაწერა ამას წინათ პოლიკლინიკაში ჩემმა ვიზიტმა განაპირობა. ეზოში შესულს თვალში მეცა ის ანტისანიტარია, რაც აქ სუფევს – მთელი ტერიტორია მობზნილია პოლიეთილენის პარკებით, პლასტმასის ბოთლებით, ლუდის ქილებითა და ერთჯერადი ქილებით. მას ემატება ორი ძროხა, რომლებიც პალოზე გამობმულები ადგილმონაცვლეობით ბალახობენ დილიდან საღამომდე, აბინძურებენ ტერიტორიას, რითაც მარტო პაციენტებს კი არა, მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საბავშვო-ბაგა-ბაღის აღსაზრდელებსაც უქმნიან დაიმფიცირების საშიშროებას. ჩემი გულის ტკივილი მედპეროსანალთან გამოვთქვი, მეეზოვე აღარ გვყავს, მთელ პოლიკლინიკაში ორი სანიტარია დარჩენილი და რომელი ერთს გასწვდებიანო. ეზოში კი არა, შენობის შიგნით უამრავი პრობლემა გვაქვს. მაგალითისთვის, რენდგენის კაბინეტში შესულ პაციენტს ყოველ წუთში სიფრთხილისკენ მოვუწოდებთ, რადგან იატაკი ისეთი ათხრილ-დათხრილია, ვშიშობთ არ დაეცეს და რაიმე არ მოიტეხოსო. ანალიზისთვის ლაბორატორიაში შესულმა აშკარად ვიგრძენი, რომ ტემპერატურა დაბალია და აქ გაკეთებულმა ანალიზმა, ექიმი-ლაბორანტების მაღალი კვალიფიკაციის მიუხედავად, შეიძლება ცდომილება მოგვცეს, რადგან, როგორც წესი, ლაბორატორიაში მინიმუმ 20-21 გრადუსი სითბო მაინც უნდა იყოს. რეგისტრატურასთან თავმოყრილი პაციენტების დიდი უმრავლესობა სადაზღვევო პოლისითაა მოსული და გამოთქვამს უკმაყოფილებას იმ „ქაღალდომანიის" გამო, რომელიც პროცედურული ნორმებითაა გათვალისწინებული და დიდ დროს მოითხოვს თითოეული ვიზიტისთვის პირადობის მოწმობების, მიმართვების, პოლისების რეგისტრაცის და მათი ქსერო ასლების დამზადება. თუმცა ამას ვერსად გავექცევით, სადაზღვევო კომპანიებს მყარი არგუმენტაცია სჭირდება თუ მოქალაქემ რა სახის მომსახურება მიიღო, რომ თანხები შესაბამისად გადმორიცხოს. დოკუმენტაცია ერთია, მაგრამ როგორ რიცხავენ თანხებს მზღვეველები, ეს კიდევ სხვა მხარეა. ამ კუთხით ყველაფერი რომ წესრიგში არ არის, იმითაც მტკიცდება, რომ თანამშრომელთა ხელფასები თვეობით იგვიანებს და მედპერსონალი უკმაყოფილოა არამარტო დაგვიანების, არამედ მისი სიმცირის გამოც.

აგერ, უკვე ორი წელი ხდება, რაც ჩვენი რაიონის საავადმყოფო - პოლიკლინიკური გაერთიანება კომპანია „ადითმა" შეისყიდა. იმედი და დაპირებები სხვანაირი იყო. ხალხი მოელოდა, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა, ჩატარდებოდა რემონტები, აღიჭურვებოდა ახალი, თანამედროვე ტექნიკით და მომსახურების ფასებიც ხელმისაწვდომი იქნებოდა ნებისმიერი მოქალაქისთვის, მაგრამ დღემდე არაფერი შეცვლილა, ჩვენს სამედიცინო სფეროს მზრუნველი პატრონის ხელი ნამდვილად არ დასტყობია. ზემოთ ნახსენებ პრობლემებთან დაკავშირებით შევხვდით და ვესაუბრეთ **„ადითის" დედოფლისწყაროს განყოფილების უფროსს** ხათუნა ზურიკაშვილს **და მის მოადგილეს** ვანო ნატროშვილს.

- ქალაბრონო ხათუნა, დავიწყოთ იმ ანტისანიტარიით, რომელიც პოლიკლინიკის ეზოშია გამეფებული.

- სრულიად გეთანხმებით, ეზო ნამდვილად დანაგვიანებულია, მაგრამ ეს ნაგავი თავადვე „ლაპარაკობს", რომ მისი წარმომავლობა პოლიკლინიკის თანამშრომლებს და პაციენტებს არ ეკუთვნით. ხედავთ, რომ ეზო შემოფარგლული არ არის, ამიტომ ნებისმიერ ადამიანს ნებისმიერი მიმართულებიდან შემოსვლა შეუძლია. აქვეა ტაქსების გაჩერება, რომლებიც დილის 6 საათიდან საღამოს 10-11 საათამდე აქ დგანან. მძღოლები მთელი დღის განმავლობაში ჭამენ, სვამენ და ნარჩენებს აქვე ყრიან. საღამოთი ამ ტერიტორიაზე მრავლად იყრიან თავს ისეთი ადამიანები, რომლებიც არ მუშაობენ, არ სწავლობენ, საქმე არაფერი აქვთ და დროის გაყვანის და გართობის მიზნით აქ მოდიან. ხშირად უწესოდაც იქცევიან, ნასვამები ჩხუბობენ, კამათობენ, ტეხენ აყალმაყალს. აბა, საიდან მოვიდა ლუდის და ლიმონათის ბოთლები და ქილები, ერთჯერადი ჭიქები? მას ხომ პაციენტები არ მოიხმარენ. ჩვენ დავიღალეთ მათი დევნით და მათი ნაგვის კრეფით. მართალია რომ მეეზოვე აღარ გვყავს, მის ყოლას აზრი არ ჰქონდა. რამდენჯერმე მივმართეთ ქალაქის დასუფთავების სამსახურს, პოლიციას, საპატრულო სამსახურს, რომ დაემყარებინათ აქ წესრიგი, მაგრამ ვერაფერს მივაღწიეთ. ახლა პოლიციასაც და ქალაქის დასუფთავებასაც ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს, თქვენი გაზეთის საშუალებითაც და პირადადაც მივმართავთ მათ, მოგვეხმარონ, ჩვენ ჩვენი ძალებით ვერ ვერევით პრობლემას შენიშვნას ვღებულობთ, სამართლიანია, სირცხვილია, რომ ასეთ დაბინძურებულ გარემოს ვუყურებთ ყოველდღე, მაგრამ მოქალაქეებმაც უნდა იგრძნონ თავიანთი წილი პასუხისმგებლობა, არ გადაყარონ აქაიქ თავიანთი ნასუფრალი, ეზოში ჩვენ ორი სანაგვე კონტეინერი გვიდგა, იქ მისვლას და ნარჩენების შიგ ჩაყრას ნუ დაიზარებენ.

- თნამშრომლები უკმაყოფილებას გამოთქვემენ ხელფასის დაგვიანების, მისი სიმცირის, სამუშაო პირობების არქონის გამო. საინტერესოა, რა პირობა დევს ხელშეკრულებაში, რომელიც "ადითმა" დადო შპს-ს შესყიდვის დროს?

ხათუნა ზურიკაშვილი:

- თანამშრომელთა უკმაყოფილება ხელფასების დაგვიანების გამო ნამდვილად სამართლიანია, სექტემბრის თვის ხელფასი სულ ახლახანს, ერთი კვირის წინ მიიღეს. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ბევრი მათგანის ოჯახი ამ ხელფასზეა დამოკიდებული და როცა 2-3 თვე ხელფასს ვერ იღებენ, უამრავი სოციალური პრობლემა უჩნდებათ. ხელფასის დარეგულირება ჩვენზე არ არის დამოკიდებული, ფინანსებს ჩვენ არ განვკარგავთ, ჩვენ ვაყენებთ საკითხს „ადითის" ცენტრალურ ოფისში, მაგრამ მათაც თავისი არგუმენტები აქვთ, რაც, რა თქმა უნდა, დიდ შეღავათად ვერ ჩაითვლება ნებისმიერი თანამშრომლისთვის. ამ კომპანიის ძირითად შემოსავალს პოლისების მიხედვით სადაზღვევო კომპანიებიდან მომსახურებისათვის თანხების გადმორიცხვა შეადგენს. ყველაზე დიდი დამზღვევი კომპანია „არქიმედეა", რომელიც "ადითს" აღიქვამს როგორც კონკურენტს, ცდილობს შეაფერხოს თანხების გადმორიცხვა, მას ყოფილი ხელისუფლების მხრიდან ოჯახურ კლანთან დაკავშირებული პრივილეგიები ჰქონდა და ამას მშვენივრად იყენებდა კონკურენტად ჩათვლილი კომპანიების ჩასაძირად. იმედია, ახლა ახალი ხელიუფლების პირობებში სიტუაციები შეიცვლება. რაც შეეხება ხელფასების სიმცირეს, ამას ექიმების ხელფასზე ვერ ვიტყვი. დაბალი ხელფასი აქვთ საავადმყოფოში დასაქმებულ მორიგე ექთნებს, რომელთა ხელფასიც შესრულებული სამუშაოდან პროცენტის სახით გამოიანგარიშება. იმის გამო, რომ სტაციონარი ნაკლებად დატვირთულია, მათი შემოსავალიც, შესაბამისად, ნაკლებია.

ვანო ნატროშვილი:

- სამუშაო პირობების გაუმჯობესების და ტექნიკური აღჭურვილობის კუთხით "ადითის" მეპატრონეობის პერიოდში მართლაც ბევრი არაფერი გაკეთებულა. ხელშეკრულების მიხედვით მათ ამ ყველაფრისათვის ვადა 2013 წლის აპრილამდე აქვთ. ჩვენ ახლაც მოლოდინის რეჟიმში ვართ. ისინი არ უარყოფენ, რომ დედოფლიწყაროში ბევრი სამუშაო აქვთ ჩასატარებელი და გვპირდებიან, რომ ვადის ამოწურვამდე ისინი დანაპირებს შეასრულებენ. ვნახოთ, ბევრი მოგვითმენია და ცოტაღა დაგვრჩა. თუ ისინი პირობას არ შეასრულებენ, ეკონომიკის სამინისტროს უფლება აქვს, გადახედოს პირობებს. ამასწინათ ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა მინისტრმა ბატონმა დავით სერგიენკომ ძალიან გონივრულად ბრძანა, რომ გადაიხედება გაყიდული პოლიკლინიკების და საავადმყოფოების მეპატრონეთა საქმიანობაო. ამასთან, მივესალმები მის წინადადებას ქვეყანაში გარკვეული რაოდენობის სახელმწიფო პოლიკლინიკების და საავადმყოფოების არსებობის თაობაზე. ეს პრაქტიკა დიდ და ძლიერ ქვეყნებსაც კი აქვთ და ჩვენი სოციალური მდგომარეობის საზოგადოებას, მით უმეტეს, ეს ძალიან წაადგება. კარგად იცით, ამ სისტემაში რიგითი, მორიგე ექიმიდან დაწყებული წლებით ვხელმძღვანელობდი დარგს და კარგად ვარ ჩახედული ყველა იმ პრობლემაში, რაც ჩვენს რაიონშია. ერთი, მათ შორის ისიც არის, რომ რაიონი ჩიხშია, მოსახლეობა მცირეა ფართობთან შედარებით. აქ ინვესტიციის განხორციელება სერიზულ რისკებთანაა დაკავშირებული. ამიტომ ინვესტორები სულ მუდამ ერიდებოდნენ. თუმცა, ვარდების რევოლუციამდე ვიშოვეთ სახსრები, რომლითაც საავადმყოფოს მეორე კორპუსის გარემონტება დავიწყეთ, შევცვალეთ ჭერი, კარ-ფანჯრების ნაწილი, მაგრამ შემდეგ ყველაფერი შეჩერდა.. გახსოვთ, ამ ცოტა ხნის წინ "არქიმედემაც" წამოიწყო 15 საწოლზე საავადმყოფოს მშენებლობა ჯარის წყლის მიმდებარედ, ძველი ქართული სკოლის შენობის ადგილზე. რაღაც სამუშაოები შეასრულა კიდეც, მაგრამ შემდეგ შეაჩერა. "ადითში" დევს ჩვენი პროექტი პოლიკლინიკის შენობის რეკონსტუქციის ბაზაზე 25 საწოლზე საავადმყოფო-პოლიკლინიკის გაკეთების შესახებ. ამ ადგილზე ყველა პირობაა იმისათვის, რომ კომფორტული სამედიცინო მომსახურების ცენტრი გაიხსნას. არის ცენტრალური კანალიზაცია, გაზის მძლავრი არტერია, წყალი და, რაც მთავარია, ცენტრია და მოსახლეობისათვის მოსასვლელად იოლია, ზედმეტ ხარჯებს აღარ მოითხოვს საავადმყოფომდე გადასვლაში. საერთოდ კი, "ადითს" 7 წლის ვადაში ამ ობიექტისათვის პროფილის შეცვლის უფლება არა აქვს. 7 წლამდე ჯერ დიდი დროა. ვნახოთ, რა გამოვა. ჩვენ იმედიანად შევყურებთ ახალ მთავრობას და იმედს გამოვთქვამთ, რომ მდგმარეობა აუცილებლად შეიცვლება უკეთესობისაკენ.

- ზამთარი მოვიდა. როგორ აგვარებთ გათბობის საკითხს?

ხათუნა ზურიკაშვილი:

- გათბობის ორი წყარო გვაქვს. ვისაც სურს შეშის ღუმელი უნთია, ჩვენ უკვე გავხარჯეთ თითქმის 8 პირი შეშა და კვლავ ვცდილობთ შემოტანას. ზოგ ექიმს არ სურს შეშის ღუმელი და ელექტროქურით გათბობა ურჩევნია. საერთოდ, იმის გამო, რომ შენობები გასარემონტებელია, კარ-ფანჯარა ძველი და უხარისხოა, ვერ იჭერს სიცივეს და სითბოს დამყარება ჭირს. თვეში ოფიციალურად, შეგიძლიათ ნახოთ ქვითრები, 4 ათას ლარამდე ელექტროენერგიის გადასახადს ვიხდით, ხუთას ლარზე ნაკლები წყლის გადასახადი არ გვიწევს. ზოგადად კი, უნდა გითხრათ, რომ გასავალი თითქმის სჭარბობს შემოსავალს და ეს ყველაფერი ერთმანეთზე ისეა აკინძული, კვერცხის და ქათმის გაჩენის ამბავს მაგონებს. თუ არ გარემონტდა და არ გამოიცვალა ტექნიკური საშუალებები, პაციენტს ვერ მოვიზიდავთ, თუ პაციენტი არ იქნა, შემოსავალი არ არის და ასე.. თუმცა წარმატებაში ყველაფერთან ერთად, კვალიფიციური კადრის ხვედრითი წილი ძალიან დიდია. ჩვენ კი ბევრი კარგი ექიმი და მედდა გვყავს. ისე, რომ მომავალს იმედიანად ვუყურებთ.

ესაუბრა

ნაირა გორაშვილი

პოეზიის დიდებულება

ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლას სააქტო დარბაზი არა აქვს. ეს, თავის დროზე, კომუნისტებმა პროექტში, რატომღაც, საჭიროდ არ სცნეს და ამით ამ სკოლის ბავშვებს სცენის და დეკორაციების საშუალება წაართვეს. თუმცა, გულახდილად უნდა ითქვას, რომ, ამის მიუხედავად, მათ შესანიშმავი ღონისძიებების გამართვა შეუძლიათ – ღრმად შინაარსიანი, იდეურად ეროვნული, გასართობ-შემეცნებითი, საგნობრივი და სხვა. ჩვენ აქ ბევრი სამახსოვრო დღე გვახსოვს. 18 დეკემბერსაც მეორე სართულის ფოიე წინასაახალწლოდ მორთეს, ფანჯრებიდან, მადლობა ღმერთს, სანტა-კლაუსის ნაცვლად, ქართველი თოვლის პაპა გვესალმებოდა და გვამხნევებდა, ყველაფერი კარგად იქნებაო. ფანჯრის რაფებზე შემომსხდარი აყვავებული ქოთნის უმშვენიერესი ყვავილები სიცოცხლის ხალისს მატებდა დამსწრეთ, რაც ბიოლოგიის მასწავლებლის გულნარა ღორაშვილის შრომისმოყვარეობასა და გემოვნებაზე მეტყველებდნენ. გარეთ ხვავრიელად თოვდა და რომანტიკულ ხასიათზე გვაყენებდა. რომანტიკა კი არ აკლდა პოეზიის საღამოს, რომლის დევიზიც გახლდათ: **„სული ლექსებში გარდამავალი“**. სტუმრად დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაციის წევრი პოეტები იყვნენ, რომელთა უმრავლესობას რამდენიმე საავტორო წიგნი, „ალმანახსა“ თუ ქართული პოეზიის ანთოლოგიაში დაბეჭდილი მრავალი შესანიშნავი ლექსი აქვს. ღონისძიების სიუჟეტი კარგად იყო გააზრებული: თითო სტუმქრს თითო „ჟურნალისტი“ სპეციალურად მოწყობილ სავარძელთან ინვევდა, მისთვის საინტერესო კითხვებს უსვამდა, დიალოგის შემდეგ მიჰყავდა და ქათქათა თეთრ ფუცელზე ავტოგრაფს ატოვინებდა. შემდეგ ბავშვები კითხულობდნენ იმ ავტორის რჩეულ ლექსებს, რომელიც სტუმრობდა საპატიო სავარძელს. ბოლოს სტუმრებს საუკეთესო დეკლამატორი უნდა გამოევლინათ.

პირველი სიტყვა დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაციის თავჯდომარეს **ჯუმბერ უთრუთაშვილს** ერგო.

ბატონი ჯუმბერი ერთი მშრომელი, ალალ-მართალი, პატიოსნებასა და ერთგულებაზე თავდადებული კაცია. მწარე იყო მისი ბავშვობა, დედით ობოლი ოთხი და-ძმა მამამ გაზარდა. მაინც მოახერხა, სპეციალური საშუალო განათლება მიეღო, კარგი ოჯახი შეექმნა, სამი შვილი გაეზარდა, „მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?“ და ყველაზე დიდი ამქვეყნიური გამოცდა ჯუმბერს 19 ნლის შვილის მალხაზის ტრაგიკულმა დაღუპვამ მოუწყო. შემდეგ გამოვიდა მისი ლექსების კრებული „მამის ცრემლები“, რომელიც ფიზიკური მონატრების და სულიერი ტკივილის მიღმა სიმტკიცის და ოჯახის და საზოგადოებისადმი მოვალეობის შეგრძნების მორალური მოვალეობაც იკვეთებოდა. და მოდის ასე მოუშუშებელ ტკივილსა და ცხოვრებასთან ჭიდილში, მაგრამ არ სტოვებს მუზა, რადგან „ღმერთმა მომისაჯა წერაო“-თავადვე ამბობს და შემოქმედის სიცოცხლის არსად და მიზნად პოეზია მიაჩნია. კითხვაზე, მეორედ დაბადების შემთხვევაში კვლავ პოეტი იქნებოდითო, პასუხობს: - პოეტობა არ არის სურვილი, ეს, პირველ რიგში, ღმერთმა უნდა დაგანათლოს, მაგრამ შრომისმოყვარეობაც აუცილებელია, ხან თუ ლაღად მოდის სიტყვა, ხან ერთი რითმის გულისათვის კვირით-კვირამდე მინვალნია. ბატონი ჯუმბერი ბევრი კარგი საქმის ორგანიზატორია, ის პატრონობს თავისი ასოციაციის წევრთა შემოქმედებას, მათ წიგნად გამოცემას თუ პერიოდულ კრებულებში მოხვედრას, ეძებს და აკვალიანებს ახალგაზრდა შემოქმედ ადამიანებს, მის ხელში მრავალი ახალგაზრდა დაოსტატდა.

შემდეგი სტუმარი, რომელმაც სავარძელი მოირგო **ზაურ გონაშვილი** გახლდათ.

- ვინ ხართ, ბატონო ზაურ? - ეკითხებიან და ისიც, ჩვეულებისამებრ თავმდაბლად პასუხობს:– მე ერთი უბრალო ხელოსანი ვარ, კირითხურო, 60 ნელია, ხარაჩოზე ვდგავარ და ვაშენებ. სკოლაში საუკეთესო მოსწავლე ვიყავ-მეთქი, ვერ მოგატყუებთ, საშუალო სკოლაც კი არ დამიმთავრებია, 16-17 ნლის ასაკში გამიჩნდა ლიტერატურის კითხვის დიდი სურვილი და იქიდან იწყება ჩემი შემეცნება სამყაროს, სამშობლოს, ერის, ჭირ-ვარამის, აღმაფრენის, სიხარულის და სიყვარულის თაობაზე. მყავს ოჯახი, მეუღლე, შვილები, შვილიშვილები. ვშრომობ და ვებრძვი ცხოვრებას და მუზას.

რას ურჩევ დამწყებ პოეტებსო? - ჰკითხეს და უპასუხა:- წიგნი იკითხონ, გაერკვიონ ჩვენი ქვეყნის წარსულში, აწმყოში, მომავალში, გაიკაჟონ სული პატრიოტიზმის გრძნობით, კაცთმოყვარეობით, სიყვარულით. იშრომონ, ლექსის წერას, ნიჭთან ერთად, შრომისოყვარეობა სჭირდება. იდეა შეიძლება ხარაჩოზე მდგომსაც მომივიდეს, მაგრამ დაწერით მოცალეობის ჟამს უნდა დავჯდე, მარტო დავრჩე საკუთარ თავთან და გამოვძერწო ჩემი სულის ნაწილი ლექსად.

ასეთი სულის ნაწილი კი, ბევრი აქვს ბატონ ზაურს. და არა მარტო მას, მის ოჯახში მასზე არანაკლები კიდევ ორი პოეტია – მეუღლე გიული სამუკაშვილი და ქალიშვილი ლელა გონაშვილი. ახლა მწერალთა რაინული ასოციაცია მათი ერთობლივი კრებულის შედგენა-გამოცემაზე მუშაობს. და როცა ბატონ ზაურს ლექსის წაკითხვა სთხოვეს, არათუ დამსწრე საზოგადოება, არამედ მეც, რომელსაც ხშირი შეხება მაქვს თითოეული მათგანის შემოქმედებასთან, გაოცებული დავრჩი. ბატონმა ზაურმა წაიკითხა ლექსი, რომელსაც ბევრი ფოლკლორული ანსამბლი თუ ინდივიდუალური მომღერალი ასრულებს და ცოტამ თუ იცის, რომ ეს ერთი უბრალო ჯაფარიძელი(სამრეკლოელი) კალატოზის დაწერილია.

„ქილში ბუბელას ვიჯერდი,
ხელიდან მისსტტებოდაო,
მეორე დილით შენ შეგ ხვდი,
სიზმარი მიხდებოდაო.
ეგ ჩამოშლილი დალალი,
რა რიგად გიხდებოდაო
გიმზერდი შენგან დაჭრილი
და გული მიკვდებოდაო.
გა ხაფხული და აბრილი
თავიდან იწყებოდაო
ვერ გაგიბედე, მიყვარხარ!
რა ღმერთი მიწერებოდაო“.

მინდა მკითხველმა იცოდეს, რომ მშვენიერ ლექსებთან ერთად ქ. დედოფლისწყაროს ცენტრში ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი და ელიის მთაზე ილია თეზბიტელის ეკლესია მისი აშენებულია.

გამორჩეული ოვაციით და სიყვარულით შეხვდა დარბაზი ამ სკოლის კურსდამთავრებულს თბილისის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პსიქოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტს **ქეთევან ნათელაძეს**, რომელსაც ჩვენი მკითხველი ჯერ კიდევ ათი ნლის წინ გაეცნო 9-10 ნლის ბავშვისთვის "შეუფერებელი" ღრმადფილოსოფიური ლექსებით და მას მერე ადევნებს თვალს მის შემოქმედებას, რომელიც დღითიდღე იხვეწება და სრულყოფილების მწვერვალისკენ მიისწრაფვის. ქეთიმ მადლობა გადაუხადა მშობლიური სკოლის პედაგოგებს, ბავშვებს ამ კედლებში გატარებული დაუვიწყარი დღეებისა და იმ სითბოსთვის, რომელიც მას გაატანეს ცხოვრების საგზლად, ასევე დაფასებისა და მოწვევისათვის. მან ორიოდე სიტყვით თავის გეგემებზეც ისაუბრა: – მე და ჩემმა რამდენიმე მეგობარმა ახალგაზრდა პოეტთა ერთობა „იბერიონი“ დავაარსეთ. დღეს პოეტობა "მოდაში შემოვიდა", ბევრი უგემოვნო ლექსი წიგნებად იკინძება, იბეჭდება და მკითხველს მიეწოდება. ჩვენ გვინდა, დავხვეწოთ და გემოვნებიანი, თანამედროვე სტანდარტებით გამყარებული, კარგი ლექსები შევთავაზოთ საზოგადოებას. კითხვაზე– ლექსებთან ერთად თქვენ ხატავთ კიდეც, არის კავშირი მხატვრობასა და პოეზიას შორის?– ქეთიმ უპასუხა: - მხატვრობა ფერებით წერაა, პოეტობა-სიტყვებით, მაგრამ მაინც ორივე სულის წერაა. ჩემთვის ღირებულია, დავწერო ის, რასაც მე ვფიქრობ, მე ვგრძნობ და ის არ არის გათვლილი მასებზე ზემოქმედებისა და ავტორიტეტის ამაღლებაზე, ლექსი ცამდე მართალი უნდა იყოს, ყოველგვარი ნიღბების გარეშე. შემდეგ ქეთიმ თავისი საყვარელი ლექსი " ხელის გულებზე წაგლეჯილი სამშობლო მტკივა" წაიკითხა და კიდევ ერთი აპლოდისმენტი დაიმსახურა.

თამაზ ნიკლაური უზადო ლირიზმით გაჟღენთილ ლექსებს ჩვენი მკითხველი ათეული ნლებია ეზიარა და სიამოვნებით კითხულობს მას. არა მხოლოდ ლექსი, არამედ მის მიერ გამორჩეული მანერითა და გზნებით წაკითხული ლექსიც ხიბლავს მსმენელს. ასე იყო ახლაც, მან დარბაზი სრულიად დაიპყრო და მქუხარე აპლოსიმენტები დაიმსახურა:

„ლექსო, შენა ხარ ჩემი მაყარი,
სიმდიდრე დღემდე რაც მაბადია,
შენით ვარ ღმერთან დღეს წილნაყარი
და შენ გიცანი უკვდავებადა!?“

კითხვამ, რომელია თქვენთვის ყველაზე საყვარელი მეოცე საუკნეში დაწერილი, ლექსიო, ცოტა არ იყოს, დააბნია პოეტი: – ლექსიო, ოჰ, იმდენი ლექსი და ავტორია ღირებული, არჩევა ძნელია. გვერდს როგორ ავუვლი გალაქტიონს, ტიციანს, ტერენტი გრანელს, ანას, მურმანს, შოთას, მაგრამ ლადო ასათიანის "სალაღობო" სულს სულ სხვაგვარად მიფორიაქებსო, თქვა და მიაყოლა, რომ ლექსი შველის ყოველგვარ ტკივილსო" და ამით ყველაფერი თქვა.

შემდეგ სავარძელში მწერალთა ასოციაციის მდივანი **ნატო ყატაშვილი** მიიწვიეს და პირველი შეკითხვაც შეაგებეს: – რა არის თქვენთვის ლექსიო და ნატომაც არ დააყოვნა: - „მე ლექსებს არ ვნერ, ლექსი თვითონ მწერსო“, – უპასუხა დიდი პოეტის ცნობილი ფრაზა. **ნატო ყატაშვილი** დიდი ხანია, ბავშობიდან პოეზიის ტრფიალი და შემოქმედია. მან გაიხსენა რეალობა, თუ როგორ შეიქმნა და ჩამოყალობდა დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაცია.

- ორი ათეული ნლის წინ როცა ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ვსწავლობდი და პრაქტიკაზე გაზეთ „შირაქის" რედაქციაში გახლდით, რედაქციში არქივის მაშინდელი ხელმძღვანელი ზოია ჯინჯოლია მოვიდა. ძალიან გონებაგახსნილი და ენერგიული ქალბატონი გახლდათ. რედაქტორის კაბინეტში, სადაც მეც ვიყავი, საუბარი შემოქმედ ადამიანებზე ჩამოვარდა. ქალბატონმა ნაირა გორაშვილმა თქვა: ნატო კარგ ლექსებს წერსო. მერე რაიონის სხვა პოეტებზე ჩამოაგდო საუბარი, დაახასიათა ჯუმბერ უთრუთაშვილის, თამაზ ნიკლაურის, ზაურ გონაშვილის, ვენერა ნატროშვილის, ზაქრო სეხნიაშვილის და სხვათა შემოქმედება. ქალბატონმა ზოიამ მაშინვე ითავა პოეზიის საღამოს მოწყობა. სწორედ იმ საღამოზე შეკრებილებმა გადავწყვიტეთ, გავერთიანებულიყავით და შემოქმედ ადამიანთა კავშირი ჩამოგვეყალიბებინა. ასეც მოხდა. ჩვენს ერთობას სათავეში ზაქრო სეხნიაშვილი ჩაუდგა. შემდეგ ეს საქმე ბატონმა ჯუმბერ უთრუთაშვილმა გადაიბარა და დღემდე ერთგულად და უანგაროდ, ენთუზიაზმზე ემსახურება ამ საქმეს. რაც შეეხება ლექსს, ჩემთვის მომგებიანი თემები არ არსებობს, ვნერ მას, რაც მეწერება, ლექსთან ჭიდილში დიდი შრომაცაა და ღვთითობოძებული მადლიც, რომელიც ასო-ასო, მარცვალ-მარცვალ, სტრიქონ-სტრიქონ იძერწება და თეთრ ქაღალდზე გადმოიღვრება.

სავარძელი **თამარ ფოლადაშვილს** დაეთმო. მან მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს ამ მშვენიერი შეხვედრის მონყობისათვის და დასძინა, რომ ასეთი შეხვედრები ორივე მხარისათვის სასარგებლოა, რადგან ყველა შემოქმედს სიამოვნებს დაფასება და სტიმულს აძლევს, მოსწავლეები კი, პირადად გაეცნენ იმ ადამიანებს, რომლებიც რაიონის ინტელექტუალური დონის ერთ-ერთი განმსაზღვრელები არიან. მათ შეუძლიათ, ქუჩაში პირისპირ შეხვედრისას თამამად მიესალმნენ და მოიკითხონ. ეს ბევრს ნიშნავს. რაც შემეხება მე და ჩემს პოეტობას, ნამდვილად არ ვთვლი თავს პოეტად. ერთხელ პროფესორმა ნოდარ ტაბიძემ ასე წამიწერა წიგნზე -"პოეტურად განწყობილ ქალბატონს თამარ ფოლადაშვილსო" და ეს სრული ჭეშმარიტებაა, მე, პოეზიის თაყვანისმცემელს, ხანდახან მეწვევა ხოლმე მუზა, ფრთას გამკრავს, მერე მე ამ ლექსს თაროზე შემოვდებ, რადგან ის მხოლოდ ჩემია და ჩემშია და ისევ იწყება ყოველდღიური ყოფითი ზრუნვა, ცხოვრებასთან ჭიდილი, მცდელობა, შვილებს შევუქმნა ნორმალური ანმყო და მომავალი. სწორედ მისმა შვილებმა გიორგი და ნინო ლობჟანიძეებმა, მეგობრებთან ერთად, დამსწრეთ სატრფიალო მოტივზე დანერილი ლექსები წაუკითხეს.

თავისი შემოქმედებიდან რჩეული ლექსები წაიკითხეს უკვე დაღვინებულმა პოეტმა ლევან ალავერდაშვილმა და დამწყებმა პოეტმა რუსუდან ყოჩიაშვილმა. რუსომ, როგორც მას მეგობრები მიმართავენ, თავისი ძმის ვაჟა ყოჩიაშვილის ლექსიც წაიკითხა იმის ნიშნად, რომ ვაჟას ძალიან უნდოდა ღონისძიებაზე დასწრება, მაგრამ არ მოუხერხდა. მოსწავლეებმა წაიკითხეს ზიზო ბურდულის და გია გარსენიშვილის ლექსებიც, რომლებმაც ფიზიკურად ვერ მოახერხეს ღონისძიებაზე დასწრება.

სტუმრებს თავისი ლექსები წაუკითხეს მასპინძლებმაც-სოფო მენთეშაშვილმა და მარიამ ბერიძემ. ლექსების გარდა რუსუდან ჯორკოშვილმა, ლიკა, მარიამ და ანა ლოლაშვილებმა, ქეთი შანშიაშვილმა და სოფო მენთეთაშვილმა სიმღერებით გაალამაზეს ღონისძიება, ხოლო ლაშა ლათიბაშვილმა და ნუკრი ნადირაშვილმა გივი სიხარულიძის და ეთერ კაკულიას პაროდიებით გაახალისეს მსმენელი, თინიკო ცისკარაულიკი შეეცადა აეხსნა დამსწრეთათვის თუ "რა არის პოეზია".

სტუმრებისათვის გამოცხადდა კონკურსი "დაიმსახურე მეფის გვირგვინი", რომლის მოთხოვნაც ასეთი იყო: ათი წუთის განმავლობაში თითოეულ მათგანს ექსპრომტად უნდა შეექმნა ლექსი, ჟიურის კი მათში საუკეთესოებისთვის "პოეზიის მეფის გვირგვინი" უნდა გადაეცა. ეს იყო დაძაბული ათი წუთი. თითოეულმა სტუმარმა საუკეთესო ექპრომტი წარმოადგინა და გამოავლინა ის ნიჭიერება, რომელსაც ექსტრემალური სიტუაციაც ვერ უშლის ხელს. გთავაზობთ ლევან ალავერდაშვილის ექსპრომტს:

„ეგ გვირგვინი მეფისაა სულზე,“
შუბლს რომ ადგნს მარგალიტის შნეფებს,
ის ოდესღაც გალაქტიონს ერგო
და მე გვირგვინს ვერ წავართმევ მეფეს.“

რომელმაც აღტაცებული აპლოდისმენტები დაიმსახურა. ყველა ექსპრომტი თავისთავად საინტერესო იყო, ჟიურიმ იმსჯელა და გვირგვინი ქეთევან ნათელაძეს გადასცა. ჩგამოვლინდა საუკეთესო დეკლამატორი, - ეს ტიტული შესაბამისი სიგელით ლიკა ლოლაშვილს გადაეცა, რომელმაც მადლობის ნიშნად საუკეთესო ლექსი წაიკითხა.

ღონისძიება პატრიოტული სიმღერით დასრულდა –"სამშობლო, ლამაზო, სამშობლო, დიადო, სამოთხევ მზიანო.." მღეროდნენ ბავშვები და წინასაახალწლო განწყობას სამშობლოს სიყვარულით გამოხატავდნენ. ამ დღის სამახსოვროდ სტუმრებს სიმბოლურად უბის წიგნაკები გადაეცათ.

შეხვედრით სტუმრებიც და მასპინძლებიც კმაყოფილები დარჩნენ და მადლობა გადაუხადეს სკოლის დირექტორს ია ლაპიაშვილს და ღონისძიების ორგანიზატორს, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგს ეთერ ალადაშვილს.

ნაირა გორაშვილი

გაყიდული ქართული მიწა

(პირველი გვერდიდან)
იმით ვამუშავებდი მიწას, 87 ლარი გადასახადის გადასახადას ვეღარ შევწვდი, რა მექნა, სახლ-კარს ხომ არ გავხდიდი გასაყიდს?! წელს გუთანი ვერ დავაკარე მიწას, გადასახადი საიდან უნდა გადამეხადა, არ მეთმობოდა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო და გავყიდე.“

- რამდენადაც ვიცით მიწა ინდოელებს მიჰყიდეთ, რატომ მაინცადამაინც ინდოელს, უკეთესი შემოთავაზება არ იყო?!

- იმის გამო, რომ გადასახადები არ დამწეროდა და საგადასახადოსთან დავალიანება არ შემქმნოდა, მიწას დიდი ხანია ვყიდიდი, მაგრამ მუშტარი არ ჩანდა, ქართველი კაცი ეხლა მიწას აღარ ყიდულობს, ვინ გაყოფს თავს ყულფში?! ისეთ დღეში ჩაგვაგდო ეს გლეხკაცობა მიწების გამო სახელმწიფომ, რომ შენი მიწა აღარავის უნდა, ყველა თავიდან იშორებს, კლიენტი არა და არ გამოჩნდა, მეც იძულებული გავხდი, უცხოელებისთვის მიმეყიდა. რამდენადაც ვიცი, ეს კანონით დაშვებულია და მათ ნებადართული აქვთ, აქაური მიწები შეისყიდონ. აი, რა გააკეთა ჩვენმა წინამორბედმა მთავრობამ და სადამდე მიგვიყვანა, ჩვენ ბარიერები შეგვიქმნეს, მიწა ათასჯერ მოგვასყიდეს, ინდოელ კაცს კი უპრობლემოდ მიასყიდეს.

-როგორც ამბობენ, მათ მიერ ნაყიდ ქართულ მიწაზე ისევ ქართველები მუშაობენ, ოღონდ ამ შემთხვევაში დაქირავებული მუშახელის რანგში. მართალია ეს?!

- კი, მართალია, ჩვენთან თორმეტი კაცი მუშაობს მაგათ ადგილებში, სხვაც ბევრი ჰყავთ ქართველი დაქირავებულ მუშად, თავისთავად ცხადია, იმუშავებენ კი არა იხვეწებიან,მიწა გაყიდეს, აღარ აქვთ და რიღათ ირჩენენ თავს, ოჯახში ლუკმა-პური ხომ უნდა შეიტანოს კაცმა. ყველა იძულებულია, მათთან დასაქმებაზე დათანხმდეს, ისეა გაჭირვებული.

- თქვენი აზრით, რა არის საჭირო, ან რა უნდა გაკეთებულიყო იმისათვის, რომ დღეს არსებულ მდგომარეობამდე არ მივსულიყავით?!

- შეღავათები უნდა მოეცათ, გრძელვადიანი და დაბალპროცენტიანი სესხები უნდა მიეცათ გლეხებისათვის და ფერმერებისთვის, ან ერთი წელი გადასახადისგან გავეთავისუფლებინეთ ქართველები, მაგრამ სახელმწიფომ პირიქით გააკეთა, ერთხელაც არა ცდილა, რომ ერთ წელიწადს მაინც დაეწიათ დიზელის ფასი, პირიქით დღითიდღე საწვავს ფასს უმატებდნენ. ერთხელაც არ მოგვეხმარნენ წესიერად სასუქით ან შხამ-ქიმიკატებით და აი, შედეგიც სახეზეა. მთელი სამრეკლო, მთელი სიღნაღის რაიონი ინდოელებით გაივსო. ამბობენ, სულ 2000 ინდოელია უკვე სიღნაღშიო. არ ვიცი, ახალი ხელისუფლება რას იზამს, ან საქმის კურსში არიან თუ არა, ერთად-ერთი იმედი მათი გულისხმიერებაღაა, საქართველო ოდითგან დღემდე სოფლის მეურნეობით იყო ცნობილი, თუ არა ეს, სხვა დარგი ჩვენ ვერ გადაგვარჩენს, იმედი მაქვს ჩვენს პრემიერს ეს კარგად აქვს გაანალიზებული, ამიტომ დღევანდელმა პარლამენტმა, ხელისუფლებაში მყოფმა თითოეულმა ადამიანმა, პოზიციამ თუ ოპოზიციამ, სულ ერთია რომელი მხარე იქნება,ერთმანეთის კინკლაობას და სატელევიზიო გარჩევებს კი არ უნდა მოყვნენ, პროკურატურის მიერ წარმოებული საქმეები კი არ უნდა არჩიონ საქვეყნოდ, არამედ მთავარზე იფიქრონ,--სასწრაფოდ შეიმუშაონ კანონპროექტი სოფლის მეურნეობის დარგის გადასარჩენად და თუ მართლაც ამ ქვეყნისთვის კარგი სურთ, საჩქაროდ უნდა დაამტკიცონ აღნიშნული კანონი - აცხადებს ჩვენთან საუბარში თეიმურაზ ხატიაშვილი.

ლალი მეხრიშვილი

სპორტი

ბრძოლა წესების გარეშე მსოფლიო თასზე

7-8-9 დეკემბერს თურქეთის ქალაქ ტრაპიზონში ჩატარდა მსოფლიო თასის გათამაშება ბრძოლა წესების გარეშეში, სადაც თხუთმეტი ქვეყნის სპორტული დაჯგუფებების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მათ შორის საქართველოდან წარდგენილი იყო დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის ორთაბრძოლების გუნდიდან ერთი სპორტსმენი გიორგი ნატროშვილი, რომელმაც 45 კგ. წონით კატეგორიაში მოიპოვა მსოფლიო თასი. თამაშის შემდეგ ჩატარდა ასევე 14-15 წლებში დაბადებულთა შორის 6 წონით კატეგორიაში აბსოლიტური პირველობა, სადაც ასევე აბსოლიტური პირველობა არავის დაუთმო გიორგი ნატროშვილმა. მწვრთნელი გახლავთ გენადი ნატროშვილი.

რედაქცია ულოცავს გიორგი ნატროშვილს მსოფლიო თასის მოპოვებას და მომავალ ასპარეზობებიდანაც გამარჯვებებით დაბრუნებას უსურვებს.

ლალი მეხრიშვილი

ფეხბურთი

12 დეკემბერს გაიმართა კახი ასათიანის პრიზის გათამაშება ფეხბურთში 2001-02 წლებში დაბადებულთა შორის.

ნახევარფინალში შეგვხვდა თელავის ძლიერი გუნდი (რომელიც თამაშობს საქართველოს ჩემპიონატში თბილისის გუნდებს შორის). პირველი შეხვედრა წავაგეთ თელავის გუნდთან. მესამე ადგილისთვის შევხვდით საგარეჯოს გუნდს. ცუდი შედეგი გვქონდა, ვაგებდით 3:0-ს, მაგრამ თამაშის დამთავრებამდე დარჩენილ ორ წუთში გავაქტიურდით და 3:3 გავხადეთ. პენალტების ზუსტი დარტყმებით დედოფლისწყაროელებმა კახი ასათიანის პრიზზე III ადგილი დაიკავეს. ნორჩი ფეხბურთელები დაჯილდოვეს დიპლომებით და მედლებით, ხოლო ტურნირზე საუკეთესო ფეხბურთელის პრიზით დაჯილდოვდა თორნიკე ოზბეთელაშვილი, რომელსაც საქართველოს ბავშვთა ფეხბურთის უფროსმა თოლოდავამ ფეხბურთის მაღალხარისხიანი ბურთი პირადად აჩუქა. დიპლომებით და მედლებით დაჯილდოვეს ასევე მისი თანაგუნდელები: ნიკა გლახოშვილი, დავით გლახოშვილი, ზურაბ ხეტეშვილი, ნიკა ლეკაშვილი, გიორგი შაშვიაშვილი, დანი თედეევი, ლუკა ქისტაური, გიორგი გურაშვილი, ნიკა ბენაშვილი, გიორგი კეკიშვილი, გიორგი თეზელაშვილი, მიხეილ ჯანყარაშვილი, ლუკა ნატროშვილი, ირაკლი ზალდასტანიშვილი, - გვითხრა შეჯიბრიდან დაბრუნებულმა გუნდის მწვრთნელმა კაკო მაჩაბლიშვილმა.

ძიუდო

ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს ფინალური პირველობა ჭიდაობა ძიუდოში ქალებსა და მამაკაცებს შორის, სადაც დედოფლისწყაროელი სპორტსმენები მონაწილეობდნენ. საქართველოს ჩემპიონის ტიტული ქალებს შორის მოიპოვა მარიამ ჯანაშვილმა (57 კგ), მესამე ადგილის მფლობელი კი ხატია ჯანაშვილი გახდა (63 კგ).

მამაკაცებს შორის მესამე ადგილზე გავიდა ლევან წიკლაური (81კგ).

სპორტსმენებს წვრთნიდნენ საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი ვაჟა მოსულიშვილი და სპორტის ოსტატი კახა წიკლაური.

თავისუფალი ჭიდაობა

ქალაქ საგარეჯოში ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 1997-2000 წელში დაბადებულთა შორის.

ჩემპიონები გახდნენ: 60 კგ-ში ირაკლი ბურდული, 63კგ-ში ირაკლი მენთეშაშვილი. მეორე ადგილი 42კგ-ში გიორგი კარატიელი. მესამე ადგილზე გავიდნენ: 58 კგ-ში ალეკო სულაშვილი, 69 კგ-ში გიორგი პავლიაშვილი. გუნდს ავარჯიშებს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი დავით გონაშვილი

საგამოძიებო სამსახურმა ყოფილი მაღალჩინოსნების საქმეზე მტკიცებულებების ნაწილი გამოაქვეყნა

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა დაკავებული ყოფილი მაღალჩინოსნების ალეკო ხეთაგურის, ნიკა გვარამიასა და კახა დამენიას საქმეზე მტკიცებულებების ნაწილი გამოაქვეყნა.

მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ დოკუმენტებს შორისაა შპს „ელენდეფსერვისისთვის“ თანხების ჩარიცხვასთან დაკავშირებული საბანკო ამონაწერი და 10 მოწმის ჩვენება, რომელთა შორის ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის ალეკო ხეთაგურის მოადგილე მარიკა ვალიშვილიცაა.

გარდა ამისა, უწყება აქვეყნებს გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათს და ნიკა გვარამიას სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის დირექტორად დანიშვნასთან დაკავშირებით კომპანიის პარტნიორთა კრების 14.11.2012 წლის სხდომის ოქმს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგამოძიებო სამსახურში განუცხადეს, გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათთან ერთად გვარამიას „რუსთავი 2“-ის დირექტორად დანიშვნის გადაწყვეტილების ოქმი იმ შეფასების საპასუხოდ გამოაქვეყნეს, თითქოს მისი აყვანა, სწორედ აღნიშნულ ტელეკომპანიაში მის საქმიანობას უკავშირდება.

„ამ ორი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ გვარამიას ირგვლივ გამოძიება იმაზე ადრე დაიწყო, ვიდრე ის „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორად დაინიშნებოდა“, - აღნიშნავენ საგამოძიებო სამსახურში.

ამასთან, უწყების მიერ მტკიცებულებათა სახით გამოქვეყნებულ დოკუმენტაციებს შორისაა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაც, რომელიც, როგორც საგამოძიებო სამსახურში განმარტავენ, ერთ-ერთ მთავარ მტკიცებულებას წარმოადგენს და რომლითაც „ელენდეფსერვისის“ ფიქტიური შექმნა დასტურდება.

„თელასმა“ მარტში ერთ-ერთ უცხოურ კომპანიას დაუკვეთა ფინანსური კვლევა. კომპანიამ ეს კვლევა ჩაატარა და ინგლისურ ენაზე გადასცა „თელასს“, შემდეგ უკვე, როცა საქმეში „ელენდეფსერვისი“ ჩაერთო და „თელასმა“ ხელშეკრულება უკვე მასთან გააფორმა, „ელენდეფსერვისს“ არ ჰქონდა რესურსი, რომ ანალოგიური სახის კვლევა ჩაეტარებინა, ამიტომ „თელასმა“ მას უცხოური კომპანიის მიერ მარტში განხორციელებული კვლევა გადასცა, „ელენდეფსერვისმა“ ის ქართულად თარგმნა და გამოაქვეყნა. ექსპერტიზის დასკვნა ადასტურებს, რომ სინამდვილეში „ელენდეფსერვისს“ კვლევა არ ჩაუტარებია და უცხოური კომპანიის და მის მიერ გამოქვეყნებული კვლევები რეალურად იდენტურია“, - განმარტავენ უწყებაში.

მათივე თქმით, გამოძიება სწორედ „ელენდეფსერვისის“ საქმესთან დაკავშირებით დაიწყო, ყოფილი მაღალჩინოსნების კვალზე კი უწყება გამოძიების მიმდინარეობისას გავიდა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისა და საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ ერთობლივად გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების და ამ დანაშაულის შენიღბვის მიზნით ოფიციალური და საგადასახადო დოკუმენტების გაყალბების ბრალდებით 19 დეკემბერს ყოფილი მაღალჩინოსნები – ენერგეტიკისა და ფინანსთა ყოფილი მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური, განათლებისა და იუსტიციის ყოფილი მინისტრი ნიკა გვარამია და ეკონომიკის მინისტრის ყოფილი მოადგილე კახა დამენია დააკავეს. საქმესთან დაკავშირებით დაკავებულია კიდევ სამი პირი, მათ შორის კომპანია „ელენდეფსერვისის“ დამფუძნებელი გიორგი ნემსიწვერიძეცაა.

„კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ გაკოტრების მმართველად აკაკი ბეგაშვილი დაინიშნა

იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულმა ბიურომ ს/ს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ გაკოტრების მმართველად „ქართული ოცნების“ გურჯაანის შტაბის წევრი აკაკი ბეგაშვილი დანიშნა. აქამდე კომპანიას აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ დანიშნული დავით ეზუგბაია მართავდა.

„გული მწყდებოდა, რომ „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ გაკოტრების რეჟიმში იყო. თუ კომპანია უფრო უკან წავიდოდა, თეორიულად იმის შანსი იყო, რომ კახეთი ელქტროენერგიის გარეშე დარჩენილიყო. ამიტომ, ვიფიქრე, რომ ჩემი პროფესიონალიზმი შესაძლოა გამოსდგომოდა ამ კომპანიას. გასაუბრება მოხდა აღსრულების ეროვნულ ბიუროში და ენერგოდისტრიბუციის გაკოტრების მმართველად დამნიშნეს,“ - განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ბეგაშვილმა.

აკაკი ბეგაშვილი პროფესიით ელექტროინჟინერია. ნამუშევარი აქვს ენერგეტიკის სფეროში. 1983 წლიდან მუშაობდა კომპანია „აგრომონტაჟში“ მემონტაჟედ. იყო ელექტროსამონტაჟო სამუშაოების მწარმოებელი, მთავარი ინჟინერი და ბოლოს დირექტორი. 1993 წლიდან იყო კახეთის რეგიონის ტრანსპორტის პოლიციის ეკონომიკურ დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლის

განყოფილების უფროსი ინსპექტორი, შემდეგ კი უფროსის მოადგილე. 2002-2008 წლებში მუშაობდა ნიკოლოზ კვეზერელის საპარლამენტო ბიუროში. 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის იყო „ქართული ოცნების“ გურჯაანის შტაბის წევრი.

შეგახსენებთ, 2009 წლის იანვრიდან „კახეთის ენერგოდისტრიბუციას“ ლიტვური კომპანია „ახემა ჯგუფი“ ფლობდა. ინვესტორს კომპანია ჩამოართვეს. „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ მიმართ გაკოტრების საქმე 2011 წლის 5 აგვისტოს გაიხსნა. კომპანიის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულმა ოპერატორმა“ და შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ მიმართეს. ოფიციალური ინფორმაციით, ენერგოსადისტრიბუციო კომპანიას 4 417 544 ლარი დავალიანება აქვს. 2011 წლის ოქტომბერში, სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ გადახდისუუნარობის საქმესთან დაკავშირებით მომრიგებელმა საბჭომ კომპანიის გაკოტრების გადაწყვეტილება მიიღო. როგორც გადაწყვეტილებაშია აღნიშნული, ლიტვურმა ინვესტორმა კომპანია „გრუპპა ახემამ“ საინვესტიციო პირობების შესრულება ვერ შეძლო და ვალების დაგროვება დაიწყო. ენერგეტიკის მაშინდელი მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური აცხადებდა, რომ „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ მალე გაიყიდებოდა, რაც არ შესრულდა. კომპანია დღემდე გაკოტრების რეჟიმშია.

დედოფლისწყაროელ მესაზღვრეებს ევროკავშირმა და გაერომ რვა კვადროციკლი გადასცა

21 დეკემბერს, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ (UNDP) რვა კვადროციკლი გადაეცა საქართველოს სასაზღვრო პოლიციას. აღჭურვილობის ღირებულება 67 000 აშშ დოლარია.

როგორც სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელმა განაცხადა, რელიეფის გათვალისწინებით, კვადროციკლების საჭიროება ყველაზე მეტად დედოფლისწყარო-აზერბაიჯანის საზღვრის მონაკვეთზე დგას, ამიტომ მისი მეშვეობით სასაზღვრო პატრულირება საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დედოფლისწყაროს მონაკვეთზე განხორციელდება.

კვადროციკლების გადაცემას დაესწრნენ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელი კობა ბოჭორიშვილი, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელმძღვანელის მოადგილე ინიტა პაულოვიჩა და ევროკავშირის პროექტის მენეჯერი ქეთევან ხუციშვილი.

ამ ეტაპზე საჩუქრად გადმოცემული ტექნიკა თბილისში, სასაზღვრო პოლიციაში ინახება, ისინი დედოფლისწყაროში უახლოეს დღეებში გამოიგზავნება.

საზღვრის ერთიანი მართვის სამხრეთ კავკასიური პროგრამა (SCIBM): ევროკავშირი და UNDP ხელს უწყობენ აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მთავრობებს დანერგონ საზღვრის მართვის ერთიანი სისტემა, რომელიც ღია და ამავდროულად უსაფრთხო საზღვრებს უზრუნველყობს. სამწლიანი ინიციატივა, რომლის ღირებულება 6.3 მილიონ ევროს აღემატებოდა, განხორციელდა მიგრაციის პოლიტიკის საკითხებში საერთაშორისო ცენტრთან (ICMPD) და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კონსორციუმთან (ლატვია, ესტონეთი, ლიტვა, საფრანგეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა და პოლონეთი) თანამშრომლობით. პროგრამა 2012 წლის დეკემბრის ბოლოს დასრულდება.

2012 წლის ნოემბრიდან ევროკავშირი და UNDP განახორციელებენ ახალ 18-თვიან პროექტს საქართველო-სომხეთის საზღვარზე ნინოწმინდა-ბავრას გამშვები პუნქტის ხელშეწყობის მიზნით.

ილია მარტყოფლიშვილი

მონატრება

ილიკო შარვაძე

ჩემო საყვარელო შვილო, შარშან, 30 დეკემბერს, შენი ცოლ-შვილით დედოფლისწყაროში ჩამოხვედი დედასთან, აახმაურეთ და სიხარულით აავსეთ პაპა-ბებიის სახლ-კარი, სადაც ბედნიერი ბავშვობა გაატარე, შენ ხომ პირველი და სანატრელი შვილიშვილი იყავი.

წელსაც გელოდებოდი საახალწლოდ, მაგრამ ვაი, რომ აღარ დაგცალდა, შვილო, 21 ნოემბერს, მთავარანგელოზობის საღამოს, თერთმეტის ნახევარზე, მოულოდნელად შეწყდა შენი ახალგაზრდა გულისცემა 38 წლის ასაკში.

თავზარდამცემი იყო შენი მოულოდნელი წასვლა ამ ქვეყნიდან. ნუთუ ამ წუთისოფელში შენი ადგილი არ იყო! შენ ჩემი დიდი ტკივილი და მოუშუშებელი იარა ხარ. უშენოდ ერთი დღეც არ შემეძლო ყოფნა. ძალიან მიკვირს, როგორ ვცოცხლობ ახლა, თუ ამას სიცოცხლე ჰქვია. შენი არყოფნით დრო გაჩერდა! ჩემი ოჯახის იმედი აღარ მყავხარ, ჩემო სიცოცხლევ და ერთადერთო სანთელო ილიკო. შენ მყავდი ხატად და შენს იქეთ ვერაფერს ვხედავდი.

შემოდგომის სუსხიანმა საღამომ შენი გეგმები უცებ არია შვილო. შეიცვალა ჩვენი შეხვედრის ადგილიც, ახლა 30 დეკემბერს მე მოვდივარ შენთან - თბილისში, რადგან უცებ გაირბინა ცრემლიანმა და ტკივილიანმა 40 დღემ და შენს საყვარელ მამას უნდა ჩავაბარო შენი თავი, დავაჟკაცებული, ცოლშვილიანი, რომელსაც თვრამეტი წელი გახდება, არ უნახიხარ ჩემო ლამაზო ბიჭო. ჩაგიკრავს გულში, დიდხანს აღარ გაგიშვებს მონატრებულ შვილს და ყველა პრობლემას მოგიგვარებს.

შენს დედას კი რა ეშველება შვილო, შენს ხმას რომ ველარ გაიგებს, ტელეფონზე ვინ მიპასუხებს „ჰო, დე, გისმენო“. მე ვიღა დამიძახებს დედას, ჩემო დედისერთა ბიჭო. ვინც ჩემი გიჟური და არანორმალური სიყვარულის ამბავი იცის, ყველას უკვირს „ნათელას ილიკო აღარა ჰყავს და ცოცხალიაო“. მაგრამ ვაი, რომ ყველაფერთან ერთად არც სიკვდილში მქონია ბედი, არ გამისკდა გული და ვერ გამოგყევი თან. თავს კი ვერ მოვიკლავ, შენ თუ ვერ გნახავ, ისე ჩემს სიკვდილს რა აზრი აქვს, ეს ხომ პრობლემების თავის არიდებას და მოვალეობიდან გაქცევას ნიშნავს, შვილო, რაც ჩემთვის უცხოა. შენმა მშობლებმა პირნათლად მოვიხადეთ ჩვენი მოვალეობა შვილის წინაშე, არაფერი დაგაკელით, მარტოდ დარჩენილნმაც მთელი ცხოვრება და სიცოცხლე შენ შემოგწირე, მაგრამ შენ კი ბედისწერამ არ გაცალა, შენც მოგეხადა შენი ვალი მშობლების წინაშე, ვერ გვიპატრონე, მე კი შენი ხელით მიწის მიყრაც არ მეღირსა შვილო.

შენი ნიას გონებიდან არ ამოვა შენი სახე, მაგრამ პატარა ილიკოს კი არ დაამახსოვრდები შვილო, მხოლოდ სურათით ეცოდინება მისი ახალგაზრდა ლამაზი მამიკო.

თუ შენს მერე ცოცხალი კიდევ დავრჩები, შენს თავს ვფიცავარ, მხარში ამოვუდგები თამუნას და ჩემს პატარა შვილიშვილებს არ მოვაკლებ მზრუნველობას. ისეთივე ერთგული ბებია ვიქნები, როგორი დედაც ვიყავი.

თუ ნიას დაქალებას და ილიკოს დავაჟკაცებას მოვესწარი, იმედია, არც ნია დამამადლის ცრემლს და არც ილიკოს დაეზარება შვილისგან გამწარებული ბებიისთვის მიწის მიყრა.

შენ უკვდავებაში გადაინაცვლე, ჩემო დედისერთა ბიჭო, იძინე მშვიდად, დედის ცრემლები დაგიამებს ყველა ტკივილს,მსუბუქი იყოს შენს ალალ გულზე დაყრილი ვაშლიჯვარის მიწა, რომელმაც ჩემს მოსვლამდე ჩაგიკრა გულში და ისე მოგეფერება და გაგათბობს, როგორც შენი დედა, ჩემო ლამაზო შვილო, ჩემო დიდუბელო ბიჭო.

გილოცავ შობა-ახალ წელს, შვილო, შენს მამასთან და ახლობლებთან უდარდელად გაატარე ეს დღესასწაულები.

ღმერთმა ნათელში გამყოფოთ ჩემო ნაადრევად წასულო და მონატრებულო ქმარშვილო.

ჩემგან კი თქვენ არ მოგაკლდებათ ლოცვები და წმინდა სანთლები. მარადიულ ნათელში იყავი, ჩემო ილიკო.

შენი უბედური დედა ნათელა იაკობიშვილი, **მეუღლე** თამუნა, **შვილები:** ნია და ილიკო შარვაძეები.

იყიდება

ქ. დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქ.№26 (აფთიაქის გვერდით), პირველ სართულზე იყიდება ერთოთახიანი ბინა, რომელიც გამოიყენება როგორც საცხოვრებლად, ასევე კომერციული საქმიანობისთვისაც. ყიდვა შეიძლება განვადებითაც. დაინტერესებულმა პირებმა დარეკეთ:

571 55 99 51.
574 77 97 97
ფასი 4000 $

ყურადღება!

„რეგისტრირებული კავშირი აგრარული და გარემოსდაცვითი ასოციაცია“ აცხადებს კონკურსს ხორბლის სათესლე მასალის საწყობის შესყიდვის ან აშენების მიზნით ქ. დედოფლისწყაროში.

კონკურსის ძირითადი პირობაა მინიმალური ფართობი 500 კვადრატული მეტრი.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით

599 56 05 48

როგორ შევხვდეთ ახალ 2013 წელს

იქიდან გამომდინარე, რომ წყლისფერი გველი წყალქვეშა სამყაროს ბინადარია 2013 წლის დასახვედრად ბინა შესაბამისად უნდა გავაფორმოთ. მომავალი წელი წყლის სტიქიის წელია.

წყალი კი სიცოცხლის და სიმდიდრის სიმბოლოა. ამიტომ, ნაძვის მორთვისას მაქსიმალურად შეეცადეთ გამოიყენოთ ამ წლის ფერთა გამა: შავი, ლურჯი, თეთრი, მუქი მწვანე, ვერცხლისფერი, ოქროსფერი... როგორ უნდა მოვრთოთ ნაძვი 2013 წლის წყლისფერი გველის, სიბრძნის წელიწადში - გაეცანით რჩევებს.

ვიცით, რომ ნაძვის ხე ახალი წლის განუყოფელი ატრიბუტია, მაგრამ ალბათ ცოტასთვის არის ცნობილი რომ ამ ჯადოსნური ხის მორთვისას რამდენიმე გასათვალისწინებელი წესი არსებობს, რომელთა დაცვაც უფრო წარმატებულ, ბედნიერ და მშვიდ მომდევნო წელს გიქადით

თურმე, სახლში ნაძვის ხის მდებარეობაზეა დამოკიდებული ის, თუ რა ფერთა გამა უნდა შეარჩიოთ მის მოსართავად. ფენ-შუის მიხედვით, ყველაზე მისაღები ადგილი ბინაში სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარეა. ამ ნაწილში დადგმულ ხეს, ძირითადად, წითელ-ყვითელ ფერებში რთავენ.

თეთრი ფერებით გაფორმება კარგი იქნება ნაძვის, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთის ან აღმოსავლეთის მხარეს უნდა დადგათ. ამ შემთხვევაში შეგიძლიათ დამატებით გამოიყენით ბრჭყვიალა ბურთები და პატარა ზარები.

თუ ნაძვი ჩრდილოეთის მხარეს მოათავსეთ, სასურველია ცისფერ და თეთრ ფერებში მორთოთ.

ამ შემთხვევაში, არ გირჩევთ გასაფორმებლად დეკორატიული სანთლების გამოყენებას.

ოქროსფერში გაფორმება იდეალური იქნება თუ ნაძვის ხეს დადგამთ ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს.

აქ არ გამოგადგებათ დიდი და ვერცხლისფერი ბურთები.

საუკეთესო იქნება, თუ აღმოსავლეთის მხარეს დადგმულ ნაძვის ხეს მორთავთ ციმციმებით, თეთრებით, მონეტებით. ამ მხარეს წაწვეტებული ფორმის დეკორაცია არ გამოგადგებათ.

კარგი იქნება თუ ნაძვის ხეს მორთავთ გველის ფორმის ფერადი დეკორატიული ლენტებით, წიწვოვანი წვიმებით და შეასხურებთ წიწვის არომატის ეთერზეთებს რაც ხელოვნურ ნაძვს ბუნებრივის არომატს შესძენს.

ნაძვის ხის ირგვლივ უხვად მიმოფანტეთ ქაღალდის კუპიურები და ოქროსფერი ხურდა, იყოს ვერცხლისფერიც!

ნაძვს ტოტებზე შეაბით ფერადი ბაფთები და თითოეულ ბაფთას გაანდეთ თქვენი სურვილი, რომელიც გსურთ რომ 2013-მა წელმა აგისრულოთ.

საახალწლო საჩუქრები ჰოროსკოპის ნიშნებისთვის

ახალ წლამდე სულ უფრო ცოტა რჩება. დრო მოვიდა, ახლობლებისა და მეგობრებისთვის საჩუქრები შევარჩიოთ. ასტროლოგები და ფსიქოლოგები დაგეხმარებიან ყველაზე ოპტიმალური საჩუქრის შერჩევაში ჰოროსკოპის თითოეული ნიშნის წარმომადგენლისთვის.

საერთო რჩევა ყველა ნიშნისთვის: საჩუქრის შერჩევისას არ დაგავიწყდეთ, რომ გველის წელი მოდის.

ვერძი (21 მარტი - 20 აპრილი)

ვერძებს გველის წელში უმჯობესია, თუ ისეთ საჩუქარს გაუკეთებთ, რაც მათ მეტად ლოიალურსა და რბილს გახდის გარშემომყოფთა მიმართ: წიგნები ფსიქოლოგიაზე, ტესტების კრებული, თავსატეხები.

ამ ნიშნის წარმომადგენლებს ასევე გაახარებთ პრაქტიკული საჩუქრები - ქალებს შეურჩიეთ სამზარეულოს ტექნიკა ან აქსესუარები, რომლებზეც ისინი დიდი ხანია ოცნებობენ, ხოლო მამაკაცებს - ხელსაწყოების ნაკრები.

კურო (21 აპრილი - 20 მაისი)

კუროებისთვის რეკომენდებულია ისეთი საჩუქრის გაკეთება, რომელსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყენებენ. გველი ამ ნიშნის წარმომადგენლებს იმით ჰგავს, რომ კარგად იცის ფულის ყადრი. ამიტომაც მათთვის კარგი საჩუქარი იქნება: საფულე და პორტმონე (რა თქმა უნდა, ფულის კუპიურით), პლასტიკური ბარათები ზედ დარიცხული თანხით, სხვადასხვა მაღაზიის ფასდაკლების კუპონები.

და კიდევ - სასაჩუქრე სერთიფიკატები: ქალებს - პარფიუმერიის, კოსმეტიკისა და საიუველირო სალონების, მამაკაცებს კი - კომპიუტერული მაღაზიებიდან და ავტოსალონებიდან. საჩუქარს დაამატეთ კარგი ღვინის ბოთლი ან ფულის ხე ლამაზი ქოთნით, რომელიც კუროს სახლის დიზაინს შეეფერება.

ტყუპი (21 მაისი -21 ივნისი)

ტყუპი მრავალმხრივი პიროვნებაა. ამიტომაც საჩუქრის კეთებისას გაითვალისწინეთ ისიც, რომ გველი კანს იცვლის. პალანტინები და ქოლგა "ქამელეონები", საიუველირო ნაკეთობები ცისარტყელას ფერებში, კოსმეტიკის ნაკრები მრავალფერი ჩრდილებით. მამაკაცებს მოეწონებათ ხელსაწყოების ნაკრები ბევრი სხვადასხვა დანამატითა და წვრილმანით.

მამაკაცებსაც და ქალებსაც ესიამოვნებათ საჩუქრად სხვადასხვა არომატის სუნელი. ტყუპები დიდი გურმანები არიან, ამიტომაც სიამოვნებით ჩაატარებენ ექსპერიმენტებს და სადღესასწაულო სუფრაზე ახალ ნიუანსებს შეიტანენ.

კირჩხიბი (22 ივნისი - 22 ივლისი)

კირჩხიბები, ისევე, როგორც გველი, მგრძნობიარეები არიან, რომანტიკულები და ცოტათი მელანქოლიურები. ამიტომაც 2013 წლის დადგომისთვის მათთვის საუკეთესო საჩუქარი იქნება სენტიმენტალური წიგნები და ფილმები, თეატრის ბილეთები ან გამოფენის მოსაწვევები. ასევე - პატარა, მინიატურული გემები ბოთლში და რბილი სათამაშოები.

თუმცა გვერდს ნუ აუვლით პრაქტიკულ საჩუქრებსაც. მომავალი წლის სტიქია - წყალია, ამიტომაც შესაფერისი იქნება სააბაზანოს აქსესუარები - სასაპნეები, დეზოდორანტები, კბილის ჯაგრისების ჩასაწყობი, პირსახოცის საკიდები და ნოხები.

თუ მაინც შიშობთ, რომ თქვენი საჩუქარი კირჩხიბს არ მოეწონება, ჰკითხეთ, რა გაუხარდებოდა სასახლწლოდ. ამ ნიშნის ზოგიერთ წარმომადგენელს ურჩევნია, თავად შეარჩიოს სასურველი ნივთი.

ლომი (23 ივლისი - 22 აგვისტო)

კარგი იქნება, თუ ლომებისთვის საახალწლო საჩუქრის შერჩევისას გაითვალისწინებთ ამ ნიშნის წარმომადგენელთა სიყვარულს დახვეწილი აქსესუარების მიმართ. ორიენტირება გააკეთეთ ქალი (მამაკაცი) ლომის გარდეროობზე.

თუ თქვენი ლომი მწეველია, მაშინ მისთვის უპრიანი იქნება ლამაზი პორტსიგარი ან ალუბლის ხის მუნდშტუკი. ასევე კარგი საჩუქარი იქნება: ეფექტური ჰალსტუხი ან სათვალე. ქალბატონებს მოეწონებათ მასიური სამკაულები ბუნებრივი ქვით, მაგალითად, ქარვით (ეს ამ ჰოროსკოპის ნიშნის ქვა არის). ასევე, ქალ-ლომებს გაახარებთ მოდური კლატჩიც.

ქალწული (23 აგვისტო - 22 სექტემბერი)

ქალწული, როგორც გველი, ცუდად იტანს სიცივეს. ამიტომაც კარგი საჩუქარი იქნება: თბილი და ლამაზი სვიტერი, ხელთათმანები (მაგრამ არა პითონის ტყავის), ფუმფუულა პლედი. თუ თქვენ მამაკაცი-ქალწულისთვის არჩევთ საჩუქარს, თანაც ისეთისთვის, რომელსაც მანქანა ჰყავს, არჩევანი გააკეთეთ ავტომობილის სავარძლის შალითაზე.

ასევე, ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულ ქალებსაც და მამაკაცებსაც გაახარებთ ახალი მობილური ტელეფონი, მაგრამ გახსოვდეთ, რომ ის ბოლო თაობის უნდა იყოს. მოჩვენებითი მოკრძალებულობის მიუხედავად, ქალწულებს ძვირფასი საჩუქრები უყვართ.

სასწორი (23 სექტემბერი - 22 ოქტომბერი)

სასწორი, ისევე, როგორც გველი, ინტუიციის საოცარი გრძნობით გამოირჩევა, მაგრამ ამასთან, ხშირად ვერ იყენებენ ამ შესაძლებლობას. აჩუქეთ ამ ნიშნის წარმომადგენლებს წიგნი, სადაც მოთხრობილი იქნება იმის შესახებ, როგორ განვივითაროთ ინტუიცია.

და თუ მას, ვისთვისაც საჩუქრის გაკეთებას აპირებთ, მაგიის არსებობის სჯერა, უსახსოვრეთ ბროლის სამკითხაო ბურთი ან სამკითხაო წიგნი. რაოდენ გასაკვირიც და მკრეხელურიც უნდა იყოს, საკუთარ ქვეცნობიერში გარკვევაში ესეც დაეხმარება.

ასევე, სასწორებს გაუხარდებათ: საათი (მაჯის, ქვიშის, წყლის), ვერცხლის ბრელოკი მისივე ჰოროსკოპის ნიშნის გამოსახულებით, ასევე, გველის ფორმის ვერცხლის სამაჯური. მამაკაც-სასწორებს გაახარებთ საწერი მაგიდის აქსესუარები და საყვარელი მუსიკის დისკები.

მორიელი (23 ოქტომბერი - 21 ნოემბერი)

მორიელი, ისევე, როგორც გველი, იდუმალი და ამოუცნობია. ამიტომაც მისთვის კარგი საჩუქარი იქნება: მისტიკური შინაარსის წიგნები, ტაროს კარტი და საერთოდაც, ყველაფერი ის, რაც მათ მაგიურობას გააძლიერებს.

ქალ-მორიელებს ძალიან მოეწონებათ ლამაზი საცვლები ან საწოლის აბრეშუმის თეთრეული; მამაკაცები დადებითად შეაფასებენ ისტორიული იარაღის ასლს ან ისეთ ნივთებს, რომლებიც კავშირში იქნება სპორტის რომელიმე ექსტრემალურ სახეობასთან.

მორიელებს აღაფრთოვანებთ სუნამო ფერომონების არომატით, პალანტინები ერთი შეხედვით გაურკვეველი სიმბოლოებით და ანტიკვარული ნივთები. კვლავ აქტუალური რჩება სხვადასხვა სახის თავსატეხი - როგორც თანამედროვე, ასევე ძველებური. ისინი მორიელებს დაეხმარება, გამოამჟღავნოს თავისი აზროვნება; ასევე, მოიპოვოს სულიერი წონასწორობა, რომელიც ამ ნიშნის წარმომადგენლებს ხშირად აკლიათ. არ დაგავიწყდეთ სუვენირები ამ წლის სიმბოლოთი, მაგალითად - ბრელოკი ან კულონი.

მშვილდოსანი (22 ნოემბერი - 21 დეკემბერი)

მშვილდოსნებს გველთან მიზიდულობა აერთიანებთ. ამიტომაც კარგი საჩუქარი იქნება საგნები, რომლებიც ხაზს გაუსვამს მათ მომხიბვლელობას. დეკორატიული კოსმეტიკის ნაკრები, სხეულის, თმის და სახის კანის მოვლის საშუალებები; მამაკაცებისთვის - საპარსი ქაფი და გელი, ელექტროსამართებელი.

მშვილდოსნებისთვის რეკომენდებულია ყველაფერი ის, რაც ახალი ცოდნის შეძენაში დაეხმარებათ - წიგნები (ჩვეულებრივი და ელექტრონული), გზამკვლევები და ლექსიკონები და სხვა. აქტუალურია ასევე ფოტოაპარატები და ვიდეოკამერები, ასევე - დასასვენებელი საგზურები.

თხის რქა (22 დეკემბერი - 19 იანვარი)

თხის რქა, ისევე, როგორც გველი, პრაქტიკულია თხემით ტერფამდე. ამასთან, გიყდება ისეთ ნივთებზე, რომლებიც ხაზს უსვამს მის სოციალურ სტატუსს.

მისთვის შესანიშნავი საჩუქარი იქნება ციფრული ტექნიკის აქსესუარები. ასევე, ამ ნიშნის წარმომადგენლებს გაახარებთ უახლესი წარმოების ნოუთბუქები, ნეთბუქები და სმარტფონები, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ იმიჯს არ ქმნის მხოლოდ ელექტრონული მოწყობილობები. ლამაზი კალამი, ტყავის უბის წიგნაკი, მოდური ბრელოკი ან ტელეფონის შალითა - ყველაფერი ეს თხის რქებს ძალიან მოეწონებათ და ყოველდღიურ ცხოვრებაშიც გამოადგებათ.

მერწყული (20 იანვარი - 18 თებერვალი)

მერწყულს გველთან ანათესავებს პასუხისმგებლობის გრძნობა ყველაფერი იმის მიმართ, რასაც ისინი ქმნიან და ასევე, სილამაზის აღქმა. ამიტომაც 2013 წელს ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის საჩუქრად რეკომენდებულია დიპლომები, მაგალითად, "საუკეთესო დედიკოსთვის", "საუკეთესო მეგობრისთვის", "ჩემი სიყვარულისთვის" და ასე შემდეგ, რომელიც ლამაზ ჩარჩოში იქნება ჩასმული. ეს დიპლომი თქვენს მერწყულს ყოველთვის შეახსენებს იმას, რომ თქვენ მას სათანადოდ აფასებთ ყველა მისი ქმედებისთვის.

ასევე, საუკეთესო საჩუქარი იქნება საიუველირო ნაწარმი, სურათები, სტატუები. მერწყული - შემოქმედებითი ნატურაა, ამიტომაც ახალ წლამდე დააკვირდით, რა ინტერესები აქვს ამჯერად და რა არის მისთვის ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი. მაგალითად, რა ჰობი აქვს ბოლო დროს და სხვა.

ქალ-მერწყულს შეურჩიეთ ახალი პარფიუმი. მთავარია, რომ ის მერწყულის პიროვნებას შეეფერებოდეს.

თევზები (19 თებერვალი - 20 მარტი)

თევზები ბევრ რამეში ჰგვანან გველს. ისინი ისევე იპყრობენ გარშემომყოფთა ყურადღებას, ისევე თავდაუზოგავად შეუძლიათ მუშაობა, ისევე გონიერები არიან და ინტუიციურად განვითარებულნი ბედის ნიშნების მიმართ, როგორც გველი.

თევზებს გაუხარდებათ "ჭკვიანი" საყოფაცხოვრებო ტექნიკა, რომელიც ზედმეტი საზრუნავისგან გაათავისუფლებთ და ამასთან, სასარგებლო საკვებსაც მოამზადებს. ასევე - ლამაზი ხელთათმანები, გრძელი შარფები საინტერესო პრინტით, კოსმეტიკა და თავის მოვლის სხვა საშუალებები.

ამინდი

დედოფლისწყარო

შაბათი 22. 12	კვირა 23. 12	ორშაბათი 24. 12	სამშაბათი 25. 12	ოთხშაბათი 26. 12	ხუთშაბათი 27. 12	პარასკევი 28. 12
დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე
6 ° 0 °	4 ° -2 °	1 ° -1 °	-1 ° -3 °	-4 ° -2 °	1 ° 0°	3 ° 1 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნინრა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); მიხეილ მლეგრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „საარის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K